საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან · № 27 (1043) · ოთხშაბათი, 15 მარტი, 1995 წელი. · ფასი 200 000 კუპონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენ უნდა გავიხსენოთ და ავამოქმედოთ საკაცობრიო რობლემათა ერთობლივი გადაწყვეტის გამოცდილება“

ართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა სოციალური განვითარების ითხებზე გაერთიანებული ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა უმაღლესი დონის შეხვედრაზე

WORLD SUMMIT
FOR SOCIAL
DEVELOPMENT
Copenhagen

პატივცემულო თავმჯდომარევ,
პატივცემულო გენერალურო მდივანო,
ძვირფასო კოლეგებო,

5 წლის წინათ, მე აქ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრიდან ჩამოვფრინდი. ვაშინგტონში შევთანხმდით ატომური და ქიმიური არსენალების ლიკვიდაციაზე, კოპენჰაგენში პოლიტიკის ადამიანური განზომილების ახალი მასშტაბი უნდა განგვესაზღვრა. პირდაპირი კავშირი არსებობდა მასობრივი მოსპობის საშუალებათა ლიკვიდაციასა და ადამიანურობის ახალ განზომილებებს შორის.

ჩემთვის, პირადად, დანიის დედაქალაქზე გამავალი ეს გზა გარდაქმნის გეზის გაგრძელება იყო. დღეს, გარდაქმნის დაწყებიდან 10 წლისთავზე, ორკეც ბედნიერი ვარ, რომ წარმოვადგენ აქ ჩემს ქვეყანას და, ამავე დროს — ჩვენი საუკუნის ამ ყველაზე მნიშვნელოვანი რევოლუციის პიონერებსაც.

გარდაქმნა უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენი შეხვედრის ძირითად თემასთან. სწორედ გარდაქმნამ დაუდო ზღვარი „ცივ ომს“ და პიროვნებაზე ტოტალიტარული სახელმწიფოს ბატონობას, დაუბრუნა ხალხებს მათი ბუნებრივი უფლებები და საკუთარი ბედის არჩევის თავისუფლება. იგი აცხადებდა და ისწრაფოდა კიდეც საკაცობრიო ღირებულებათა პრაქტიკაში დამკვიდრებისაკენ, იმ უბრალო წანამძღვრიდან გამომდინარე, რომ დასმულ პრობლემათა სოლიდარულ გადაწყვეტას კაცობრიობა მხოლოდ კოორდინატთა ერთიან სისტემაზე დაყრდნობით შეძლებს.

ზოგიერთი დღევანდელი მცდელობა, რომ სადავოდ აქციონ და დააკნინონ გარდაქმნის მნიშვნელობა, ან მიაგდონ ისტორიული არქივის ყველაზე უფრო ბნელ კუნჭულში, მარტო უმადურობა კი არ არის, არამედ დანაშაულიც. გარდაქმნის ფილოსოფიის უარყოფით ჩვენ თითქოსდა უარს ვამბობთ იმ საერთო კრიტერიუმებსა და ორიენტირებზე, ურომლისოდაც განვითარების ვერანაირი კონცეფცია ვერ განხორციელდება, აქ, კოპენჰაგენში, მართებული იქნებოდა იმის შეხსენება, რომ სწორედ გარდაქმნის პოლიტიკამ განსაზღვრა იმის პროგნოზირების პირობები, რომ შესაძლებელი გახდებოდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა და განვითარებადი სამყაროს სოციალურ განვითარებაში სამხედრო ბიუჯეტების რეინვესტიციები.

შემდგომ არაერთხელ მიფიქრია, რომ ყოველივე ეს სამართლიანი იქნებოდა ჩემი სამშობლოს — საქართველოს მიმართ, მან ხომ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან ერთად ძალზე დიდი საზღაური გაიღო ტოტალიტარიზმის საფრთხისაგან მსოფლიოს განთავისუფლებისათვის.

როცა ცნობილი კედელი დაინგრა, მე მოვუწოდე შემოეხედათ კედლის აქეთა მხარეს, რათა ყველანი მისი ნანგრევების ქვეშ არ მოვყოლოდით. განთავისუფლებულ ხალხებს კედლის ნამსხვრევებზე გაემართათ ცეკვა-თამაში, მთავრობები ერთმანეთს ულოცავდნენ „ცივ ომში“ გამარჯვებას, ამ დროს კი, არაკონფრონტაციული სამყაროს ომისშემდგომი მოწყობის ერთიანი სტრატეგიის უქონლობის პირობებში, მრავალმა ახალმა საფრთხემ იჩინა თავი.

მზარდი ეკონომიკური კრიზისი, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა არსებობასაც კი; ეთნოდიქტატურათა თარეში, აგრესიისა და კონფლიქტების პროვოცირებას რომ ახდენს; ადამიანის ცხოვრების უფრო მზარდი ნაკადები; დამნაშავეობის ზრდა, კონტროლს რომ უწესებს მთელ ქვეყნებსა და რეგიონებს; ხალხთა დაუცველობა მასობრივი უმუშევრობისა და დაავადებებისაგან; ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემების მოშლა; ახალი „მასების ჯანყი“, როგორც ორტეგა ი. გასეტმა უწოდა მას ფაშიზმის ევროპული ტრიუმფის წინ.

ახალი ეპოქის ყველა ეს საფრთხე აუფასურებს შეიარაღების მიღწეულ კონტროლსა და პოლიტიკაში ადამიანური განზომილების დამკვიდრებით მოპოვებულ წარმატებებს. იმ გზამ, რომელმაც ხუთი წლის წინათ, ჩვენ კოპენჰაგენში მიგვიყვანა, გაგრძელება ვეღარ პოვა. აგრესიულმა სეპარატიზმმა და ექსტრემისტულმა ნაციონალიზმმა გადაქელეს ადამიანურ განზომილებათა ახალი სტანდარტები. მე გთხოვთ, სწორედ ამ საფრთხეთა ჭრილში განიხილოთ სოციალური განვითარების პრობლემები. თქვენთვის ცნობილია, ყველა ეს საფრთხე როგორ დაატყდა თავს ჩემს ქვეყანას. ისტორიული, ლეგენდარული კოლხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი სეპარატისტებმა დროებით მოგლიჯეს საქართველოს. მათ არა მარტო მიითვისეს „ოქროს საწმისი“, არამედ მოაწყვეს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის გენოციდი და ეთნიკური წმენდა. 300 ათასი ადამიანი ლტოლვილად იქცა. ათასობით დახვრეტილია, ნაწამებია და დასახიჩრებული.

შემაძრწუნებელია შიდა კონფლიქტების სოციალური შედეგები. საკმარისია ითქვას, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საერთო ეროვნული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 2500 დოლარიდან 360 დოლარამდე დაეცა.

ჩემთვის გასაგებია, ბატონო გენერალურო მდივანო, თქვენი მოწოდება, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოციალურ სამართლიანობას, და თქვენ სწორი ბრძანდებით, ოღონდ, დავძენ, რომ სანამ არ აღმდგარა პოლიტიკური სამართლიანობა, ფუჭია ფიქრი სოციალურ სამართლიანობაზე. სანამ ათასები თავს მოტყუებულად გრძნობენ იმის გამო, რომ ამაოდ ელოდნენ ძლიერთა ამა ქვეყნისათა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეალურ დახმარებას, სახელმწიფოთა ნგრევა და დანაწევრება ჩვენი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი იქნება.

არადა, მჯერა, რომ ერთობლივი ძალისხმევით ჩვენ შევძლებთ ამ დამანგრეველი პროცესის შეჩერებას.

როგორც ჩანს, ჩვენ ვუახლოვდებით ეტაპს, როცა გაეროს, ევროპული სტრუქტურების, საქართველოს მეგობარი სახელმწიფოების, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის ძალისხმევა ბოლოს და ბოლოს, გამოიღებს დიდი ხნის ნანატრ ნაყოფს საქართველოს იმ შიდა კონფლიქტების მოგვარებაში, რომლებიც გარეშე ძალთაგან ხელდაუსხმელად როდი დაიწყო.

აგრესიული სეპარატიზმი მხოლოდ ჩვენი პრობლემა არ არის. მარტო საქართველოში როდი მძვინვარებენ შიდა კონფლიქტები. სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი იმ სახელმწიფოს ფარგლებშია შესაძლებელი, რომლის სუვერენიტეტი, მთლიანობა და საზღვრები საიმედოდ არის დაცული.

რაც შეეხება ეკონომიკას, სპეციფიკურ ენაზე ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნები გარდამავალი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოთა ჯგუფს არიან მიკუთვნებული. არადა, მათ ისეთი პოტენციალი აქვთ, რომელიც ძალიან მალე შეიძლება ამოქმედდეს. მის აღსადგენად გაცილებით ნაკლები სახსრები და დრო იქნება საჭირო, ვიდრე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისათვის. მოგვეხმარეთ, სწრაფად დავდგეთ ფეხზე და ჩვენ თვითონ გავხდებით სხვების დონორები.

ქალბატონებო და ბატონებო,

მსოფლიო წააგავს სარკეს ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრიდან. როცა სარკეს ხელს გაუშვებენ, იგი იმტვრევა და მიმოიფანტება ნამსხვრევებად, რომლებიც გვაყენებენ ჭრილობებს, გვაავადებენ ამნეზიით და გვაიძულებენ ხანგრძლივი ტანჯვით გადავიხადოთ მეხსიერების ხანმოკლეობის, გულმავიწყობის საფასური.

ჩვენ უნდა გავიხსენოთ და ავამოქმედოთ საკაცობრიო პრობლემათა ერთობლივი გადაწყვეტის გამოცდილება. ამის გაკეთება ყველაზე მართებულია ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავისა და გაეროს ნახევარსაუკუნოვანი არსებობის იუბილეს წელს. გზა, რომელიც მე ჩემთვის განვსაზღვრე, როგორც კოპენჰაგენზე გამავალი, უნდა გაგრძელდეს!

ვიდობა და განვითარება ურთიერთგანპირობებულია

ედუარდ შევარდნაძის ვიზიტი კოპენჰაგენში

მარტს ადგილობრივი დრო- საათზე საქართველოს პარ- ტის თავმჯდომარე — სახე- ო მეთაური ედუარდ შევა- ე და საქართველოს ოფიცი- ი დელეგაციის წევრები ჩა- დნენ დანიის დედაქალაქ კო- ენში, სადაც მიმდინარეობს ალური განვითარების საკით- ადმი მიძღვნილი მსოფლიოს ი გაეროს ეგიდით.

ვე დღეს, 20 საათსა და 43 ზე ბატონი ედუარდ შევარდ- შეხვდა გაერთიანებული ერე- ორგანიზაციის გენერალურ ანს ბუტროს ბუტროს გალის. ანმა გალიმ მადლობა მოახ- სახელმწიფოს მეთაურს იმი- ს, რომ გამონახა დრო სამი- დასასწრებად. გაეროს გენე- ურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ნჰაგენში გამართული სამიტი ალურია, მასში მონაწილეობენ სახელმწიფოს მეთაურები და მთავრობის თავმჯდომარეები და ასეთი დიდი ფორუმი პირველად ეძლევა მსოფლიოში არსებული სოციალური პრობლემების მოგვარებას.

თავის მხრივ, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გაეროს გენერალურ მდივანს უსურვა სამიტის ნაყოფიერი მუშაობა და აღნიშნა, რომ ასეთი დონის შეხვედრა იმის დასტურია, რომ მსოფლიოს ქვეყნები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ არსებულ სოციალურ პრობლემებს.

შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ბატონ ბ. გალის გააცნო აფხაზეთში არსებული ვითარება და ყურადღება მიაპყრო ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის გაჭიანურებას. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ეს პროცესი არ მიმდინარეობს გაეროს მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად. ბუტროს გალიმ დიდი ყურადღება დაუთმო აღნიშნული საკითხის განხილვას.

შეხვედრამ დაახლოებით ერთ საათს გასტანა.

11 მარტს ადგილობრივი დროით 10 საათზე გაიმართა სამიტის საზეიმო გახსნის ცერემონია, რომლის შემდეგ მოეწყო პირველი სხდომა.

საღამოს ბატონი ე. შევარდნაძე მეუღლითურთ მიიწვიეს სადილზე, რომელიც გამართა დანიის დედოფალმა მარგარეტმა.

11 მარტი მეტად დატვირთული გამოდგა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისათვის. გაიმართა შეხვედრები სახელმწიფოთა მეთაურებთან და სხვა ოფიციალურ პირებთან. ამ დღეს, ბატონი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა დანიის პრემიერ-მინისტრს პოლ ნიურუპ რასმუსენს, ავსტრიის კანცლერს ფრანც ვრანიცკის, ნორვეგიის პრემიერ-მინისტრს გრუ ჰარლემ ბრუნდტლანდს, ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარეს ფელიპე გონსალესს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბუტროს ბუტროს გალის, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრს ალი აქბარ ველაიათს.

შეხვედრების დროს განიხილეს როგორც მსოფლიოში, ისე რუსეთში მიმდინარე პროცესები და მათი ზეგავლენა მსოფლიო და ევროპულ პოლიტიკაზე. ცალკე თემად იხილებოდა ჩეჩნეთის პრობლემა. საუბარი შეეხო აგრეთვე საქართველოს ურთიერთობას ევროპის სახელმწიფოებთან და განსაკუთრებით, ევროკავშირთან. ისაუბრეს კავკასიის პრობლემატიკაზე და სატრანსპორტო გზების საკითხზე.

11 მარტს სოციალური განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილ

(დასასრული მე-2 გვ.).

შეხვედრა გაეროს გენერალურ მდივანთან ბუტროს ბუტროს ღალისთან.

საქართველოს ენერგეტიკის რეაბილიტაციისათვის

14 მარტს რესპუბლიკის პრემი- ნისტრმა ოთარ ფაცაციამ მი- იღო მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი ვლადისლავ ვუჩეტიჩი, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების წარმომადგენელი ედვარდ მარკერეტი და სხვები.

საუბარი შეეხო საქართველოს ენერგეტიკის რეაბილიტაციის პროგრამას და მისი განხორციელებისათვის საჭირო 30 მილიონი ამერიკული დოლარის კრედიტის გამოყოფის საკითხებს. კრედიტის გამოყოფად აუცილებელი პი- „საქენერგოს“ აქციონირე- სი დესტრუქტურიზაცია.

როგორც ო. ფაცაციამ აღნიშნა, აუცილებელია მსოფლიო ბანკმა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტომ დროულად გამოჰყონ 30 მილიონი დოლარი კრედიტი, რათა რესპუბლიკის მთავრობამ მოასწროს ზამთრის სეზონისათვის მომზადების აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება.

საუბარს ესწრებოდნენ პრემიერ-მინისტრის მოადგილე ზურაბ კერვალიშვილი და დეპარტამენტ „საქენერგოს“ თავმჯდომარე გივი გამყრელიძე.

ოქალაქენი მიიღებენ ორმირებულ კარაქს

14 მარტს გაიმართა მოსახლეობის სურსათით მომარაგების სამთავრობო კომისიის სხდომა პრემიერ-მინისტრის მოადგილის ბაკურ ულუას თავმჯდომარეობით.

ნილეს, თუ როგორ სრულ- სახელმწიფოს მეთაურის ლება საგაზაფხულო სა- უშაოების დროულად განხორციელების ზოგიერთ აუცილებელ ონისძიებათა შესახებ.

[illegible] წინასწარ გაწეული ადებული ღონისძიებებისა, მეურნეობისა და კვების სამინისტრომ და სამსახურებმა ვერ ვეს ბრძანებულებით ფონებული სამუშაოების აგროვადებში შესრულება. სამთავრობო კომისიამ შეაჯამა გაწეული საქმიანობა და იგი არადამაკმაყოფილებლად შეაფასა. მთავრობის კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად 13 მარტიდან რესპუბლიკის ქალაქების მოსახლეობაზე დაიწყო ნორმირებული კარაქის განაწილება ერთ სულზე 700 გრამის ოდენობით. შესაბამისად მარტში მიიღებენ 400 გრამს, ხოლო აპრილში — 300 გრამს. კილოგრამი კარაქის ფასი 650 ათას კუპონს შეადგენს.

მინისტრთა კაბინეტის პრეს-სამსახური.

„საქართველოსათვის იქმნება უაღრესად ხელსაყრელი გარემო და იგი დღეს მართლაც უნიკალურია“

— **გასული** კვირის მიმოხილვას თქვენ ჩვეულებისამებრ, ეკონომიკური ანალიზით იწყებთ. ამ თემას ალბათ კოპენჰაგენის სამიტი უკავშირდება. დღეს დილით საქართველოს დელეგაცია დაბრუნდა კოპენჰაგენიდან, სადაც გაეროს ეგიდით გაიმართა სოციალური საკითხებისადმი მიძღვნილი უმაღლესი დონის შეხვედრა. იგი მით უფრო საინტერესოა ჩვენი ქვეყნისათვის, რამდენადაც ბევრმა პრეზიდენტმა თუ პრემიერ-მინისტრმა თავიანთ გამოსვლებში სოციალური განვითარება დაუკავშირა პოლიტიკურ თემას, კონფლიქტების, ტერიტორიული მთლიანობის თემას, ისევე როგორც ეს თქვენს გამოსვლაში იყო... — ჟურნალისტ **ნატო ონიანის** ამ შეკითხვის პასუხად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში განაცხადა:

— მინდა ვუღალატო ტრადიციას და შემოგთავაზოთ მოკლე ეკონომიკური მიმოხილვა, იმ მოვლენების ანალიზი, რომლებიც ასე თუ ისე ეკონომიკასთან არის დაკავშირებული. უწინარესად აღსანიშნავია ჩვენი დელეგაციის მონაწილეობა კოპენჰაგენის სამიტში, რომელიც სოციალური განვითარების პრობლემებს მიეძღვნა. ეს საქართველოში რეფორმებისა და დემოკრატიული განვითარების პროცესების მხარდასაჭერად საერთაშორისო თანამეგობრობის საქმიანობის გააქტიურების კიდევ ერთი საფუძველია. რადიკალური რეფორმების ბედისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მეთაურის მიერ ბატონ შადმან ვალავის მეთაურობით საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის მიღებისას მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური გარდაქმნის პროგრამის რეალიზაციის მიმდინარეობის გაანალიზებას. და არა მარტო სახელმწიფოს მეთაურის დონეზე, საუბრები გაიმართა აგრეთვე პრემიერ-მინისტრთან, ვიცე-პრემიერებთან, სამინისტროთა ხელმძღვანელებთან და სხვებთან. ეს ძალიან საჭირო შეხვედრები იყო.

ქვეყანაში ეკონომიკური ვითარების გაჯანსაღებას სერიოზული სტიმული უნდა მისცეს მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე ბიუჯეტის ფორმირების პრობლემატური საკითხების უაღრესად მწვავე და პრინციპულმა განხილვამ, ამ საარსებო მნიშვნელობის ამოცანის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მეთაურის მითითების შესაბამისად, გადაწყდა საგანგებო ღონისძიებების განხორციელება და აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა რგოლში პასუხისმგებლობის გაძლიერება. ამის თაობაზე უახლოეს დღეებში მიღებული იქნება სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება. ამგვარ ღონისძიებათა აუცილებლობას წლის განვლილ პერიოდში ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებაში შექმნილი ვითარება განაპირობებს. მინდა მოკლედ შევეხო ბიუჯეტის პრობლემებს. მოვითხოვ, რომ ეს საკითხი კვლავაც იყოს მინისტრთა კაბინეტის, მინისტრების, შესაბამისი უწყებების ყურადღების ცენტრში. მობილიზებული უნდა იყოს საზოგადოებრივი აზრიც.

ედუარდ შევარდნაძის 13 მარტის რადიოინტერვიუ

მომთხოვნელობის გამკაცრების შედეგად თებერვალში საგადასახადო ინსპექციის მიერ კონტროლირებად შემოსავალთა სახით ბიუჯეტში მობილიზებული იყო 14,5 ტრილიონი კუპონი, ესე იგი თითქმის 10 ტრილიონი კუპონით, ანუ ორჯერ მეტი, ვიდრე იანვარში.

სულ კი ორ თვეში 18,8 ტრილიონი კუპონი არის მობილიზებული. დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით თებერვალში ბიუჯეტში შევიდა 2,5 ტრილიონი კუპონი, ანუ სამ-ნახევარჯერ მეტი ვიდრე იანვარში. იგივე ითქმის აქციზზეც, (თუმცა მისი მაჩვენებელი დაბალია), რომელიც ორ-ნახევარჯერ გაიზარდა. ნავთობპროდუქტების რეალიზაციის შედეგად ფიქსირებულმა გადასახადმა შესაბამისად 332 მილიარდი კუპონი, ანუ თითქმის ორჯერ მეტი შეადგინა. ჩვენი შეფასებით, ჩვენ მხოლოდ იმის მესამედს ვიღებთ, რის მიღებაც ნავთობპროდუქტებზე ფიქსირებული გადასახადიდან შეგვიძლია.

გარკვეული ძვრები შეინიშნება ხორბლისა და ფქვილის რეალიზაციის შედეგად ფიქსირებული გადასახადის მიღების საქმეშიც, თუმცა მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე ძალიან ბევრი საყვედური გამოითქვა შესაბამისი ორგანიზაციების მიმართ. ჯერ კიდევ ძალიან შორსა ვართ ამ სფეროში წესრიგისაგან.

ამავე დროს უნდა ითქვას, რომ საერთოდ 1995 წლის ბიუჯეტის შესრულება ბოლო ორი თვის მანძილზე მეტად დაძაბულად მიმდინარეობს. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ კიდევ უფრო სერიოზულ პრობლემებს წავაწყდებით ხელფასების გაცემაში, პენსიებით მოქალაქეთა უზრუნველყოფაში, ვერ გავწევთ ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებს. ამ მიმართულებით საჭიროა მინისტრთა კაბინეტის ყურადღების სრული მობილიზაცია, რის შესახებაც ვილაპარაკე კაბინეტის სხდომაზე. ვთხოვ უწინარესად პრემიერ-მინისტრს ოთარ ფაცაციას, აგრეთვე თემურ ბასილიას, ბაკურ გულუასა და სხვებს სასწრაფოდ გაერკვნენ ამ საკითხებში და მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება როგორიც აუცილებელია ვითარების გამოსასწორებლად. საშემოსავლო ნაწილის შეუსრულებლობის გამო იქმნება სირთულეები ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების დაფინანსებაში. ამიტომ მიმაჩნია, რომ მარტში სერიოზული გარდატეხა უნდა მოხდეს და, როგორც იტყვიან, ყველა სახელმწიფო სტრუქტურა ფეხზე უნდა დადგეს, რათა მოგვარდეს ისეთი პრობლემები, როგორიც არის ხელფასების, სტიპენდიების გაცემა, სასურსათო პროდუქტების, მედიკამენტების შეძენა, საელჩოების შენახვა, მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარჯების ანაზღაურება და, განსაკუთრებით, ლტოლვილთა საკითხი, და ყველაფერი ეს უნდა მოხდეს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულების ბაზაზე.

თუ ჩვენ ჯერჯერობით მაინც ვახერხებთ ბალანსირებას, ეს იმის შედეგია, რომ ვსარგებლობთ მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტით, რომლითაც ვავსებთ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში რეალურად არსებულ დანაკლისს.

მინდა გავიმეორო ის სერიოზული საყვედური, რომელიც მინისტრთა კაბინეტის სხდო-

(დასასრული მე-2 გვ.).

მერვე სვეტი

მადლობის წერილი

საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ მიიღო იაპონიის პრემიერ-მინისტრის ტომიიჩი მურაიამას წერილი, რომელშიც იაპონელი ხალხის სახელით გამოთქმულია გულწრფელი მადლობა გულითადი თანაგრძნობისათვის იმ უბედურებასთან დაკავშირებით, რომელიც იაპონიას დაატყდა თავს ამასწინანდელი მიწისძვრის შედეგად.

ხელისუფლების სტრუქტურების გასაწმენდად

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმმა გააკეთა განცხადება 1995 წლის 3 მარტს რუსთავში მომხდარი ინციდენტის გამო.

„მომხდარი, რა თქმა უნდა, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა, — ნათქვამია, კერძოდ, განცხადებაში. — საჭიროა განხორციელდეს კანონით განსაზღვრული მკაცრი ღონისძიებები ინციდენტის ორგანიზატორთა მიმართ. ამასთან ეს არ უნდა დარჩეს ერთეულ შემთხვევად, საჭიროა დაიწყოს მიზანმიმართული ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ, რომელსაც არ უნდა ჰქონდეს კამპანიური ხასიათი და უწინარეს ყოვლისა გულისხმობდეს ამ ბრძოლის დაწყებას „ზემოდან, ხელისუფლების სტრუქტურების გაწმენდას კლანების, ბანდიტური დაჯგუფებების წარმომადგენლებისაგან“.

საგაზაფხულო მინდვრისათვის

ახლოვდება საგაზაფხულო თესვის დრო. მაგრამ როგორც საზოგადოებრივ მეურნეობებს, ისე მოსახლეობას არა აქვთ მინიმალური რესურსებიც კი, რომლებიც საჭიროა სამუშაოთა კომპლექსის დროულად განხორციელებისათვის. როგორც ანალიზი მოწმობს, სოფელს სჭირდება თესლი, სასუქები, შხამქიმიკატები, რომ აღარაფერი ვთქვათ ტექნიკასა და საწვავ-საპოხ მასალებზე, ამავე დროს მწვავედ იგრძნობა ფულადი სახსრების უკმარისობაც.

სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე ვითარების მოწესრიგების მიზნით, რესპუბლიკაში მიღებულია გადაწყვეტილება დეფიციტური მასალებით დარგის უპირველესი უზრუნველყოფის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, მთელმა რიგმა კომერციულმა ბანკებმა დიზელის სათბობის შესაძენად გამოჰყვეს 5.126 მილიონი კუპონი, თესლის შესაძენად — 2.881 კუპონი. ამჟამად დგას საკითხი ამ ოპერაციათა ოპერატიული განხორციელებისათვის, რათა სოფელმა შეუფერხებლად მიიღოს საჭირო რესურსები.

„კარიტასის“ დახმარების ხელი

მარჯანიშვილის ქუჩაზე გახსნილი საქველმოქმედო სასადილო დააპურებს ასზე მეტ კაცს, რომლებიც სილატაკის ზღვარზე ცხოვრობენ. უფასო სადილები მოეწყო საქართველოს ორგანიზაცია „კარიტასის“ ინიციატივით. ეს არის კეთილი ნების დახმარების მსოფლიო ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ახორციელებს თავის პროგრამებს.

ორი წლის წინათ „კარიტასი“ დაეხმარა აფხაზეთიდან ლტოლვილებს: 10-12 ათასი კაცი შვიდი თვის განმავლობაში უფასოდ იღებდა სურსათს, ფულსა და ტანსაცმელს. შარშან დაეხმარნენ კიდევ ხუთი ათას გაჭირვებულს.

მეორე პროექტი, რომლის განხორციელებასაც „კარიტასი“ აპირებს, ეხება კასპის საბავშვო ინტერნატსა და ბედიანის ფსიქიატრიულ სამკურნალოს. აქ მოიტანენ უკვე მზა სადილებს, რადგან გამოცდილებით უკვე დარწმუნდნენ, რომ ამ მიზნით გამოყოფილი პროდუქტები ხშირად დანიშნულების ადგილას ვერ ხვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობა და განვითარება ურთიერთგანპირობებულია

(დასასრული)

მსოფლიო შეხვედრაზე სახელმწიფოთა ლიდერების გამოსვლებს ძირითადად კონსტრუქციული ხასიათი ჰქონდა და გამოირჩეოდა მთელი რიგი აქტუალური წინადადებებით. ავსტრიის პრემიერ-მინისტრმა ფრანც ვრანიცკიმ წამოაყენა წინადადება დაიწყოს კონკრეტული პროგრამების შემუშავე[illegible]ებისათვის, რომლებიც, როგორც მან თქვა, სოციალური განვითარების ზღვარზე არიან. ვრანიცკიმ, კერძოდ, განაცხადა, რომ ნომერ პირველი პრიორიტეტია სამუშაო ადგილების შექმნა, მაგრამ მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხოლოდ მნიშვნელოვანი სახსრების ინვესტირების მეშვეობით შეიძლება შეიქმნას მწარმოებელთა საზოგადოება, რომელშიც ინტეგრირებული იქნება მრავალი მილიონი უმუშევარი. ავსტრიამ გამოიჩინა ორი მნიშვნელოვანი ინიციატივა, კერძოდ, ვრანიცკიმ განაცხადა, რომ ავსტრია პატიობს დავალიანებას სოციალური განვითარების თვალსაზრისით ჩამორჩენილ ქვეყნებს. „ჩვენ მზად ვართ ჩამოვწეროთ მრავალი მილიონი შილინგი, რათა მდგომარეობა შევუმსუბუქოთ ამ ქვეყნებს“, — განაცხადა ავსტრიის პრემიერ-მინისტრმა. მან აგრეთვე წამოაყენა წინადადება ავსტრიაში გაიმართოს საერთაშორისო თათბირი აზიისა და აფრიკის ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნების მდგომარეობის განხილვის მიზნით და შეიმუშაონ მათთვის უცილობელი დახმარების გაწევის სპეციალური ღონისძიებანი.

შვედეთის სამეფოს პრემიერ-მინისტრმა ინგვარ კარლსონმა მხარი დაუჭირა დავალიანებათა შემსუბუქების იდეას და სახელმწიფოთა მეთაურებს მოუწოდა სახსრები სამხედრო საჭიროებებიდან მოახმარონ სოციალური განვითარების მექანიზმების შექმნასა და რეალიზაციას.

უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ თავის გამოსვლაში საერთაშორისო საზოგადოებრიობას მოუწოდა აქტიურად დაუჭირონ მხარი საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებს მათ მისწრაფებაში გაერთიანდნენ მსოფლიო ეკონომიკაში.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მხარს უჭერს წინადადებას დავალიანებათა პატიების შესახებ, მაგრამ მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს შერჩევით უნდა მოხდეს. „მაწუხებს, როცა ვხედავ, რომ ინვესტირებული კაპიტალები, მაგალითად, აფრიკაში ხმარდება არა იმ მიზნებს, რომლებისთვისაც ისინი გამოიყო. ჩემმა ქვეყანამ ვალები ჩამოაწერა ოცდაცხრამეტ სახელმწიფოს და მზად არის ყველაფერი იღონოს ამ მიმართულებით, მაგრამ კონტროლის პროცესი ფინანსური დახმარების გამოყენებისადმი უნდა გაძლიერდეს“, — თქვა მან.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰ. კოლმა მთლიანად დაუჭირა მხარი გამოთქმულ წინადადებებს და უმაღლესი დონის შეხვედრის მონაწილეებს მოუწოდა, მოიწონონ ის ღონისძიებანი, რომლებიც ფორუმის საბოლოო დოკუმენტში აისახება.

ე. შევარდნაძე, რომლის გამოჩენასაც კოპენჰაგენში პოლიტიკური საზოგადოებრიობა ენთუზიაზმით შეხვდა, 11 მარტს პროგრამის შესაბამისად შეხვდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს ჰეიდარ ალიევს. შეხვედრის შემდეგ, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების კორესპონდენტებისათვის მიცემულ ინტერვიუში ჰ. ალიევმა განაცხადა, რომ ქვეყნები შეთანხმდნენ ამიერკავკასიის სამი სახელმწიფოს თანამშრომლობის გააქტიურების საჭიროების შესახებ იმ მიზნით, რომ გადაიჭრას ყველა აქტუალური პრობლემა.

თავის მხრივ, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ საჭიროა დიდი წინ გაჭრა, მეტად ბევრი მტკივნეული საკითხი ელის თავის გადაწყვეტას და ამით დაინტერესებულია ამიერკავკასიის სამივე ქვეყანა — „ჩვენ შესანიშნავი შეხვედრა გვქონდა“ — ასე დაახასიათა საქართველოს ხელმძღვანელმა საუბარი აზერბაიჯანის პრეზიდენტთან.

პატარა დანიას უკავია ადგილი მსოფლიო ლიდერებს — იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც მიაღწიეს თავიანთი თანამოქალაქეთა სოციალური დაცვის მაღალ დონეს... დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში დაბეჯითებით გაისმა სახელმწიფოთა ხელმძღვანელების ხმები, რომლებიც მოგვიწოდებენ გავიაზროთ სოციალურ უბედურებათა შედეგები და ვიმოქმედოთ საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე.

უმაღლესი დონის მსოფლიო შეხვედრის ტრიბუნიდან გამოსვლამდე სოციალური განვითარების ინტერესებისათვის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა მთელი რიგი ქვეყნების ხელმძღვანელებს. აზერბაიჯანის პრეზიდენტთან ჰეიდარ ალიევთან და ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ალი აქბარ ველაიათთან დაგეგმილ მოლაპარაკებათა გარდა, გაიმართა აგრეთვე შეხვედრები სამიტის დროს დანიის პრემიერ-მინისტრთან პოლ ნიურუპ რასმუსენთან (ლაპარაკი მიმდინარეობდა თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელ პროცესებზე, ძირითად ტენდენციებზე), ავსტრიის რესპუბლიკის კანცლერთან ფრანც ვრანიცკისთან (განიხილეს თანამშრომლობის განვითარების, სურსათის მოწოდების, ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ ცხელ წერტილებში მოვლენათა შესაძლო განვითარების საკითხები), ნორვეგიის პრემიერ-მინისტრთან გრუ ჰარლემ ბრუნდტლანდთან (საუბარი შეეხო ევროპის სახელმწიფოებთან საქართველოს ურთიერთობას, განსაკუთრებით აღინიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თანამშრომლობა ევროპის გაერთიანებასთან), ესპანეთის პრემიერ-მინისტრთან ფელიპე გონსალესთან (საუბარი შეეხო ამიერკავკასიის პრობლემატიკას მთლიანად, საქართველოს სატრანსპორტო არტერიათა გამოყენების ეკონომიკურ სარგებელს). გაიმართა კიდევ ერთი შეხვედრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან ბუტროს ბუტროს ღალისთან.

12 მარტს დილით პლენარულ სხდომაზე ერთ-ერთი პირველი გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ელ გორი. „მსოფლიოში ნახევარი მილიარდი ადამიანი ცხოვრობს სილატაკის ზღვარზე და უკიდურეს გაჭირვებაში, პლანეტის მოსახლეობის 30 პროცენტს უმუშევრები შეადგენენ, და ეს უდიდესი კრიზისია შრომის მსოფლიო ბაზარზე“, — განაცხადა გორმა; სამიტის მონაწილეებს მან აღუთქვა, რომ ამერიკა არ დაიხევს უკან ამ პრობლემების წინაშე. „პრეზიდენტ კლინტონს მიაჩნია, ამერიკელ ხალხს კი ესმის, რომ ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების დახმარებით ჩვენ ვეხმარებით გადარჩენაში არა მარტო დანარჩენ კაცობრიობას, არამედ საკუთარ თავსაც“, — თქვა ვიცე-პრეზიდენტმა. აღნიშნა რა, რომ მრავალი ხალხი მოჰქცა „სიღარიბის ხაფანგში“, გორმა გამოაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივა გაძლიერებით დააფინანსოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სოციალური განვითარების პროგრამები, კერძოდ, ამერიკის შესაბამისი ფონდების განკარგულებაში არსებული სახსრებიდან.

კუბის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფიდელ კასტრო, რომელმაც სამხედრო ფორმა მუქი ფერის კოსტიუმით შეცვალა, შეიძლება ითქვას, იყო ერთადერთი, ვინც გააკეთა სოციალისტური გამოცდილების ერთგულებაზე დამყარებული ალტერნატიული განცხადებები. მისი გამოსვლის არსი იყო ის, რომ „კაპიტალის სამყაროში მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან, ღარიბნი კი — ღარიბდებიან“. მან უნდობლობა გამოუცხადა „კაპიტალიზმის“ შესაძლებლობებს, მოწინავე ქვეყნებს უწოდა ტოტალური მოხმარების საზოგადოება და მოითხოვა უფრო ფრთხილად მოეკიდონ ნეოლიბერალიზმის „მოდურ დოქტრინას“.

ამ ორატორის მიერ ჩამოყალიბებული შეხედულება აქ არააქტუალურად და ლოგიკას მოკლებულად ცნეს. მსოფლიო შეხვედრის დეკლარაციასა და მოქმედების პროგრამაში ხაზგასმულია, რომ „სოციალური განვითარების მიზნების მიღწევა შეიძლება მხოლოდ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე იმ პოლიტიკური ნების ახლებური და ფართო გამოვლინების საფუძველზე, რომ ინვესტირება მოხდეს ადამიანურ კაპიტალსა და ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში“.

12 მარტს დღისით სამიტის ტრიბუნაზე მიიწვიეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, „გთხოვთ შეხედოთ სოციალური განვითარების პრობლემას სწორედ ამ საფრთხეთა პრიზმით“, — განაცხადა მან და პლანეტისათვის საშიშ პრობლემათა შორის დაასახელა „მზარდი ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ახალ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა არსებობა“, „აგრესიულობისა და კონფლიქტების მაპროვოცირებელ ეთნოდიქტატურათა თარეში“, „ადამიანის ცხოვრების არნახული ინფლაცია“, „ლტოლვილთა სულ უფრო მზარდი ნაკადები“, „ხალხების დაუცველობა მასობრივი უმუშევრობისა და დაავადებათა წინაშე“, „ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემათა ნგრევა“. ე. შევარდნაძემ განაცხადა: „აგრესიული სეპარატიზმი მარტო ჩვენი პრობლემა არ არის, მხოლოდ საქართველოს როდი აქვს საქმე შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტებთან. სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი შესაძლებელია მხოლოდ იმ სახელმწიფოში, რომლის სუვერენიტეტი, მთლიანობა და საზღვრები საიმედოდაა დაცული“. მის სიტყვაში აისახა მშვიდობისა და განვითარების ურთიერთგაპირობებულობის პრინციპები, რომლებიც ემთხვევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს ღალის მიერ გამოცხადებულ იდეებს. შევარდნაძემ მოუწოდა გაერთიანებას გაუწიოს რეალური და მნიშვნელოვანი მხარდაჭერა განვითარებად ქვეყნებსა და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს. „დაგვეხმარეთ და დროთა განმავლობაში ჩვენ თვითონ გავხდებით დონორი ქვეყნები“, — მიმართა მან აუდიტორიას. საქართველოს ხელმძღვანელის გამოსვლა დიდი ყურადღებით მოისმინეს და მხურვალე ტაშით შეხვდნენ.

კოპენჰაგენში თავიანთი შეხედულებები, მოსაზრებები და წინადადებები დამსწრეთ გაუზიარეს 120-ზე მეტი სახელმწიფოს, მთავრობათა, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა.

იმავე დღეს გაიმართა ედუარდ შევარდნაძის დაგეგმილი შეხვედრა იუნესკოს გენერალურ დირექტორთან ფედერიკო მაიორთან. საუბრის დროს ე. შევარდნაძის წინადადებით მოხდა მოლაპარაკება, რომ თბილისში გაიმართოს ინტელექტუალთა მცირერიცხოვანი საერთაშორისო ფორუმი.

ნოდარ ბროლაძე

საქართველოს დელეგაცია.

სურათზე: შეხვედრები კოპენჰაგენში — იუნესკოს გენერალურ მდივანთან ფედერიკო მაიორთან; ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ალი აქბარ ველაიათისთან, აზერბაიჯანის პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევთან.
საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტის სერგო ედიშერაშვილის ფოტ

„საქართველოსათვის იქმნება უაღრესად ხელსაყრელი გარემო და იგი დღეს მართლაც უნიკალურია“

(დასასრული)

მაზე გამოვთქვი. ზოგიერთ რაიონს, ქალაქს არც კი განუხილავთ 1995 წლის ბიუჯეტი — ეს ანომალიად მიმაჩნია და პირდაპირ, საჯაროდ, სახალხოდ უნდა განვაცხადო, რომ თუ ზოგიერთი ადგილობრივი ხელმძღვანელის ბიუჯეტისადმი ასეთი დამოკიდებულება გაგრძელდება, ჩვენ იძულებული ვიქნებით განვთავისუფლდეთ მათგან. მე უკვე მოვიყვანე მაგალითები, თუ რა შეიცვალა თბილისში, ქუთაისსა და ზოგიერთ სხვა რაიონში, ბიუჯეტისაკენ შემობრუნების შედეგად. რესპუბლიკა თავისას იღებს, ამ ქალაქებსა და რაიონებს კი ძალიან დიდი შესაძლებლობანი მიეცათ, გაუჩნდათ მთელი რიგი სფეროების დაფინანსების წყაროები. თუმცა, არის ისეთი ფაქტებიც, როცა ზოგიერთ რაიონში მეტი ყურადღება ეთმობა იმ საგადასახადო შემოსავლებს, რომლებიც ადგილებზე რჩება. რაც შეეხება რესპუბლიკურ ბიუჯეტში გადასარიცხ სახსრებს, აქ უფრო მეტ გულგრილობას ვაწყდებით. ჩემი აზრით, ამის მოთმენა აღარ შეიძლება, ამიტომ, ამ საკითხების მინისტრთა კაბინეტის ყოველთვიურ სხდომებზე განხილვისას, ჩვენ იძულებული ვიქნებით, მოვიწვიოთ გამგებლები, ქალაქის მერები და მოვთხოვოთ მათ, კონკრეტული პასუხები.

როგორი ვითარებაა შიდასავალუტო ბაზარზე? გრძელდება კუპონის რევალვაციის პროცესი, რაც, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს ბანკთაშორისი ბირჟის ვაჭრობებზე. სამშაბათს გამართულ ვაჭრობაზე კომერციული ბანკების მიერ დოლარის მიწოდებამ გადააჭარბა მათივე მოთხოვნას. ამან, თავის მხრივ, კუპონის კურსის ძალიან მცირე, მაგრამ მაინც აწევა განაპირობა, ვაჭრობის შედეგად, აღინიშნა შემდეგი კურსი. ერთი ამერიკული დოლარი — მილიონ 299 ათასი კუპონი. 7 მარტს გამართულ ვაჭრობაზე კომერციული ბანკების მიერ რუბლის მიწოდებამ მნიშვნელოვან ზღვარს — 240 მილიონს მიაღწია. ამ ვითარებას საქართველოში რუბლის მიმართ კუპონის კურსის აწევის პარალელურად, წინ უსწრებდა ასევე რუსეთის შიდა ბაზარზე განვითარებული ინფლაციური პროცესები. საწყის კურსზე კომერციული ბანკების მოთხოვნამ მხოლოდ 25 მილიონი რუსული რუბლი შეადგინა. ვაჭრობის შედეგად, ეს უკანასკნელი 50 პუნქტით დაეცა. ამ ზღვარზეც განაგრძობდნენ კომერციული ბანკები რუსული რუბლის გაყიდვას. ეროვნული ბანკი იძულებული გახდა, საკმაოდ დიდი სხვაობის კორექტირების მიზნით, შეესყიდა რუსული რუბლები. დაფიქსირდა კურსი: 1 რუბლი — 280 კუპონი. ყოველივე ეს, ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს, რომ ბანკთაშორისი ბირჟა საკმაოდ რეალურად ასახავს სავალუტო ბაზარზე არსებულ კონიუნქტურას.

ვითარება ენერგეტიკაში მძიმეა. საშუალო მოხმარებამ 20 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაღალი მაჩვენებელი არ არის, ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის ამოქმედება, ჩემი აზრით, მაინც შესაძლებელია, თუკი იქნება ენერგეტიკოსებისა და მრეწველების შეთანხმებული და კარგად ორგანიზებული მუშაობა. ვაფრთხილებ შესაბამის ორივე უწყებას, რომ ველოდები (განსაკუთრებით გაზაფხულის წყალუხვობის დაწყებასთან დაკავშირებით), ენერგიის გამომუშავების გაზრდას, რისი რეალური პერსპექტივაც არსებობს და ამის შედეგად, მარტში მრეწველობაში უკვე სერიოზული გარდატეხის მოწმენი უნდა გავხდეთ.

უმძიმეს პრობლემად რჩება ელექტროენერგიისა და გაზის მოხმარების გადასახადები. თუ ასე გაგრძელდა, ქალაქები და რაიონები ვერ შეძლებენ გარდატეხის შეტანას ელექტროენერგიისა და გაზის დანახარჯების ანაზღაურების საქმეში და ჩვენ კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით. უცხოეთის ეკონომიკური და ფინანსური ცენტრებიდან ყოველგვარ სესხებსა და გრანტებზე ლაპარაკი ზედმეტია, თუ საკუთარ შესაძლებლობებს ვერ გამოვიყენებთ. რასაც მოვიხმართ, ის უნდა ავანაზღაუროთ.

მისასალმებელია, რომ მრეწველობის ცალკეულ დარგებში მარტის პირველ დეკადაში უკვე გამოჩნდა ერთგვარი გამოცოცხლების სიმპტომები. მაგალითად, ხის დამამუშავებელ მრეწველობაში, ბევრი საწარმო უკვე ამოქმედდა.

ახლა — კოპენჰაგენთან დაკავშირებით. დანიის სამიტი უპრეცედენტოა მონაწილეთა რიცხვითა და რანგების გათვალისწინებით. ეს უკვე თავისთავად მიგვანიშნებს დღევანდელი მსოფლიოსათვის სოციალური პრობლემების სიმწვავეს. ესე იგი, დღევანდელმა მსოფლიომ, კაცობრიობამ შეიგნო, რომ სოციალური პრობლემები უმწვავესია და სწორედ ამიტომაც, თითქმის ყველა სახელმწიფო, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, წარმოდგენილი იყო სამიტზე (მათ შორის დიდი უმრავლესობა უმაღლეს დონეზე — პრეზიდენტების, პრემიერ-მინისტრების, სახელმწიფოთა მეთაურების, ზოგიერთი ქვეყანა — მინისტრების დონეზე). ის ფაქტი, რომ სოციალური პრობლემის სიმწვავეს აღიარებენ, როგორც განვითარებადი, ისე მაღალგანვითარებული ქვეყნების ლიდერები, აგრეთვე, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, მეტყველებს იმაზე, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი თანდათანობით ისეთნაირად ყალიბდება, რომ უახლოეს მომავალში ჩვენ დიდ გარდატეხას მივაღწიოთ სილატაკის, შიმშილის, ეკონომიკურ სიდუხჭირესთან დაკავშირებული სხვა პრობლემების დაძლევაში.

დეტალებზე არ შევჩერდები, რადგან წუხელ, თვითმფრინავში, თქვენთან და ჟურნალისტთა ჯგუფთან შეხვედრისას, საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია მოგაწოდეთ, მინდა ვთხოვო საქართველოს რადიოს ისარგებლოს წუხელ წარმოდგენილი მასალით.

პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირი, განსაკუთრებით კონფლიქტებთან დაკავშირებული პრობლემები საკმაოდ მწვავედ გაშუქდა კოპენჰაგენის შეხვედრაზე. გაბედულად შეიძლება ითქვას: საქართველოსათვის იქმნება უაღრესად ხელსაყრელი გარემო, რომელიც დღეს მართლაც უნიკალურია. ჩვენი შინაგანი ტკივილების, კონფლიქტების მოგვარების, აგრეთვე, ეკონომიკური სიდუხჭირიდან ქვეყნის გამოყვანის თვალსაზრისით, ძალიან საიმედო და რეალური პერსპექტივები დამესახა იმ დიალოგის ფონზე, რომელიც კოპენჰაგენში გაიმართა უმაღლესი დონის შეხვედრის პროცესში.

— გასულ კვირას, შიდა ქართლში დაინიშნა სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებული ბატონი ბადრი ხატიძე — ახალგაზრდა კაცი, რომელსაც სრულიად ახალ სიტუაციაში მოუხდება მუშაობა. თქვენ ბრძანდებოდით გორში, ეწვიეთ ბამბეულის კომბინატს, სტალინის სახლ-მუზეუმს, იქ განლაგებულ სამხედრო ნაწილს...

— შიდა ქართლში ბადრი ხატიძის დანიშვნამ საზოგადოებრივი აზრის გარკვეული დაინტერესება გამოიწვია. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს სავსებით კანონზომიერია. იგი იმ მიწის შვილია, იქაურია, მაღალი კულტურის, კარგად აღზრდილი ახალგაზრდაა, პრინციპული და მომთხოვნი მოღვაწეა. ვფიქრობ, რეგიონი მალე იგრძნობს იმ ინსტიტუტის, იმ სტრუქტურის დიდ პოტენციალს, რომელსაც ბატონი ბადრი გაუძღვება. მსიამოვნებს, რომ მხარეში შემავალი რაიონების წარმომადგენლები დიდი ენთუზიაზმითა და მოწონებით შეხვდნენ ამ ახალგაზრდა კაცის დაწინაურებას.

გორის ბამბეულის კომბინატის დიდ შესაძლებლობებზე უკვე ვილაპარაკე. ამ დღეებში გამოვცემ განკარგულებას, რომლის მიზანია ამ უდიდესი საწარმოს პოტენციალის სასწრაფოდ ამოქმედება. გორის კომბინატი თუ ამუშავდა, და იგი ყოველმიზეზგარეშე უნდა ამუშავდეს, მასთან ერთად ამუშავდება თითქმის 14 სამკერვალო ფაბრიკა. ეს უამრავი სამუშაო ადგილი და უზარმაზარი შემოსავალია, რაც ასე გვაკლია.

ძალიან მოკლე ვიზიტი გვქონდა სამხედრო ნაწილში — გორის სასწავლო ცენტრში. ეს ერთ-ერთი კარგი სამხედრო ქვეგანაყოფია. ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ამ ქვეგანაყოფის მეთაურმა, მისმა თანაშემწეებმა, სხვა მეთაურებმა, რომლებიც საქმეს საკმაოდ კარგად და წარმატებით უძღვებიან.

რაც შეეხება სტალინის მუზეუმის მონახულებას, ვიცი, ამან ჩვენი საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია. მოკლედ მინდა გამოვთქვა ჩემი რეაქცია ამ საკითხთან დაკავშირებით. ლაპარაკია არა სახელმწიფოს მეთაურის მსოფლმხედველობასა თუ პრინციპულ პოზიციებში ცვლილებებზე, არამედ — ისტორიულ სამართლიანობაზე, სტალინის როლის ობიექტურ შეფასებაზე, მისი ფენომენის მეცნიერულ შესწავლაზე. სწორედ ამაზე იყო საუბარი სახლ-მუზეუმში. მოვიდა დრო, რომ ეს თემა, დილეტანტთა „პრივილეგიური საკუთრებიდან“ მეცნიერული კვლევის საგნად იქცეს, მე მართლაც მიმაჩნია, რომ ბევრი რამ, რაც იწერება, იბეჭდება, გამოიცემა, საკმაოდ დილეტანტურ დონეზეა და ერთობ სუბიექტურია. თუ ფაშიზმზე გამარჯვება უნიკალური წვლილია ცივილიზაციის განვითარებაში, როგორ შეიძლება გვერდი აუარო ამ გამარჯვების უმთავრეს ორგანიზატორსა და უმთავრეს მოქმედ პირს?! ამიტომაც, ბუნებრივია, რომ სტალინის პიროვნებისადმი ინტერესი თანდათან იზრდება, მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება მიუხედავად იმისა, როგორი მიუღებელიც უნდა იყოს ის დიქტატორული მეთოდები, რომლებითაც განთქმულია სტალინის მოღვაწეობის თითქმის ყველა ეტაპი. უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან ის, რაც მიუღებელია, და ის დამსახურება, რომელიც ამ პიროვნებას მიუძღვის კაცობრიობის წინაშე, უწინარესად, ფაშიზმზე გამარჯვებაში.

— თქვენ ვეტერანებთან შეხვედრისას აღნიშნეთ, რომ უნდა შეიქმნას კვლევითი ცენტრი, რომელიც შეისწავლის სტალინის მოღვაწეობის ურთულეს ეპოქას და სტალინის პიროვნებას. ასევე აღნიშნეთ, რომ ფაშიზმზე გამარჯვებას საიუბილეო თარიღის მოახლოების დღეებში მუზეუმს ძალიან ბევრი მნახველი ეყოლება. წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, ამას უზარმაზარი მოგების მოტანა შეუძლია. გორში ჩასულ უამრავ სტუმარს დასჭირდება სასტუმრო, მომსახურება. ეს იქნება ქალაქის ბიუჯეტში შემოსული თანხა. ამას უფრო დანიაში ნანახი მალაპარაკებს. ქვეყანას დიდი მოგება მისცა ამდენი დელეგაციის მომსახურებამ...

— რა თქმა უნდა. ეჭვი არ მეპარება, რომ მიმდინარე წელს და მომავალში კიდევ მეტად გაიზრდება ექსკურსანტების, ტურისტების რიცხვი. ეს შეიძლება ასიათასობით ადამიანი იყოს, რაც თავისთავად უზარმაზარი შემოსავალია. თქვენ მართალი ხართ, დანია მოგებული დარჩა: ამდენი დელეგაციის ჩამოსვლა თავისი უამრავი ექსპერტებით, დამხმარე პერსონალით, ტრანსპორტით, სასტუმროებით მომსახურება და სხვა... სახელმწიფოები ძალისხმევას არ იშურებენ ასეთი ფორუმების გამართვის უფლების მოსაპოვებლად. ფედერიკო მაიორთან შეხვედრის დროს ჩვენ შევთანხმდით, რომ ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ფორუმი შეიძლება თბილისში გაიმართოს. ეს იქნება მსოფლიოს ინტელექტუალების შეხვედრა, რომლის თემა იქნება ინტელექტუალთა დიალოგი კულტურათა როლის შესახებ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მით უმეტეს, რომ მიმდინარე წელი გამოცხადებულია ტოლერანტობის წლად. ამ შეხვედრას ძირითადად დააფინანსებენ იუნესკო და სხვადასხვა ფონდები. ბევრი მარწმუნებს, რომ საბოლოო ანგარიშით ესეც შემოსავლიანი საქმე იქნება საქართველოსათვის.

— გასულ კვირას საქართველოს ეწვივნენ რუსეთის სასაზღვრო ჯარების ფედერალური სამსახურის უფროსი ნიკოლაევი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე პასტუხოვი. პრესკონფერენციაზე გაკეთდა საინტერესო განცხადება იმის შესახებ, რომ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები უკვე განიხილება არა როგორც ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, არამედ, როგორც ერთიანი ქვეყნის შიგნით მიმდინარე კონფლიქტი...

— გენერალი ნიკოლაევი და ბორის პასტუხოვი სერიოზული მისიით ჩამოვიდნენ. უახლოეს დღეებში სხვა ვიზიტებიც არის მოსალოდნელი. სწორედ ამ უახლოესმა დღეებმა შეიძლება გასცეს პასუხი ბევრ კითხვას. კონფლიქტების ის დახასიათება, რომელიც კოპენჰაგენში გავაკეთე, ვფიქრობ, სწორია და ემთხვევა იმას, რაზეც ლაპარაკი მქონდა ნიკოლაევთან საუბრისას. ეს მართლაც შიდაკონფლიქტებია, ქვეყნის შინაური პრობლემებია, რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს, პირიქით, გულისხმობს კიდეც გარე სამყაროს მონაწილეობას ამ კონფლიქტების რაც შეიძლება სწრაფად მოგვარებაში. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ შიდაკონფლიქტები მარტო შინაური მიზეზების გამო აღმოცენდა. მე აღვნიშნე, რომ ისინი გარეშე ძალების აქტიური ხელშეწყობითაც იყო გამოწვეული. ჩვენც და რუსეთიც ვაღიარებთ, რომ ეს არის კონფლიქტები ერთი სახელმწიფოს შიგნით, რაც ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს ქვეყნის განუყოფლობას, ტერიტორიულ მთლიანობას. მინდა კიდევ და კიდევ აღვნიშნო, რომ გენერალ ნიკოლაევის ჩამოსვლა და ჩვენი დიალოგი სასარგებლო იყო.

საქართველოს პარლამენტის ერთი კვირა

არა მარტო კანონშემოქმედება

საქართველოს პარლამენტის უკვე წესად დამკვიდრებულ უაღრესად საქმიან კანონშემოქმედებით განწყობილებაში ერთგვარი დისონანსი შეიტანა გასული კვირის მიწურულს რუსთავში მომხდარმა ინციდენტმა, რომელმაც, ბუნებრივია, თავისი გამოძახილი ჰპოვა პოლიტიკურ წრეებში. რეაქცია არაერთგვაროვანი იყო, მაგრამ, საერთო აზრით, ამ ფაქტსა და მის თანმდევ თუ განმაპირობებელ გარემოებებზე უნდა ემსჯელა და გადაწყვეტილება მიეღო პარლამენტს. იმისათვის, რომ ამ მსჯელობისას საპარლამენტო ტრიბუნა ცხელ კვალზე ემოციებისა და ცალკეულ დეპუტატთა თუ ფრაქციათა პოზიციების უსაგნო დაფიქსირების ტრიბუნად არ ქცეულიყო, მსჯელობა 9 მარტისთვის გადაიდო ერთი პირობით, სხდომას დაესწრებოდა ყველა იმ უწყების ხელმძღვანელობა, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყანაში წესრიგსა და კანონიერებაზე. ამავე სხდომაზე უნდა განხილულიყო ბოლო ხანებში ძალზე პოპულარული თემაც: საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურისა და აჭარის უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. პრობლემათა სიმწვავიდან გამომდინარე, 9 მარტის სხდომას ბუნებრივი ინტერესით ელოდა პარლამენტიც და საზოგადოებრიობაც. თუმცა ინტერესი ინტერესად დარჩა — განხილვაში რესპუბლიკის პროკურატურის, შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრებისა და აჭარის დეპუტაციის მონაწილეობა პარლამენტართა ნაწილისათვის არასაკმარისი აღმოჩნდა და იგი კვლავ გადაიდო კონკრეტული მოთხოვნით: განხილვას აუცილებლად უნდა დაესწრონ სახელმწიფოს მეთაური და უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი. თუმცა, საბოლოო ჯამში, აღმოჩნდა, რომ პარლამენტმა ნაჩქარევად გადაწყვიტა მოწვეული სტუმრების გათავისუფლება, რადგან სწორედ შემდეგ წამოიჭრა საკითხები, რომლებიც უშუალოდ მათ წინაშე უნდა დაეყენებინათ პარლამენტარებს.

მთლიანობაში კი, თავისი უპირველესი მოვალეობა პარლამენტმა ამ კვირაშიც პირნათლად შეასრულა. დამტკიცდა კანონები საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, მიღებულია დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე, კანონები კომუნალური მეურნეობის, აგრეთვე „საქართველოს სსრ ტყის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შესახებ“. მეორე მოსმენით განიხილა პარლამენტმა სამედიცინო კანონპროექტთა პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფექციის პროფილაქტიკის, რესპუბლიკაში სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობისა და ფსიქიატრიული დახმარების ღონისძიებათა განსაზღვრას. გარდა ამისა, პარლამენტის გადაწყვეტილებით, საქართველო შეუერთდა ქიმიური იარაღის აკრძალვის საერთაშორისო კონვენციას.

და ბოლოს, ერთი, შეიძლება ითქვას, ლირიკული გადახვევა. პარლამენტს ქალებისათვის არ სცალია! — დაახლოებით ამგვარი შინაარსის შემცველი ფრაზა, რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, 8 მარტის სხდომაზე სწორედ პარლამენტარმა ქალბატონმა ლუიზა შაკიაშვილმა წარმოთქვა. იქვე დაასაბუთა კიდეც: როცა ამდენი მნიშვნელოვანი პრობლემაა დაგროვილი, ქალთა დღის აღდგენა-დაკანონების გადაწყვეტაზე პარლამენტი დროს არ უნდა კარგავდეს.

რაც შეეხება პარლამენტარ მამაკაცებს, მათ, როგორც ჩანს, კაცობრიობის მშვენიერი ნახევრისთვის არც დრო ენანება არც გული და არც კეთილი სურვილები. სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ ეს საქმით დაამტკიცა — ბოლო წლებში საზოგადოების პოლიტიკური აზროვნების დონის ამაღლების გამო სადავოდ გამხდარი დღესასწაული ჩვეული გალანტურობით მიულოცა ყველ[illegible] მანდილოსანს, კოლეგებს კი მოუწოდა კამათის საგნად არ ე[illegible]ციათ ამ ლამაზი სიმბოლური დღის დაკანონება, სიმბოლურ[illegible]სა იმდენად, რამდენადაც მისი თქმით, ქალს უნდა ეკუთვნოდეს ყოველი დღე და ყოველი წუთი მათი — მამაკაცების ცხოვრებისა.

პარასკევს, 10 მარტს პარლამენტი კანონშემოქმედებითი საქმიანობით იყო დაკავებული.

მაია ალუდაური,
საქინფორმის კორ.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

საქართველოს რესპუბლიკისა და უკრაინის ხელშეკრულებების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილების თანახმად დამტკიცდა საქართველოს რესპუბლიკისა და უკრაინის შემდეგი ხელშეკრულებები:

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და უკრაინის მთავრობის ხელშეკრულება ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და წახალისების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და უკრაინის მთავრობის ხელშეკრულება საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და უკრაინის მთავრობის ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და უკრაინის მთავრობის ხელშეკრულება საწარმოო კოოპერაციის შესახებ.

1995 წელს პროდუქციისა და საქონლის მისაწოდებლად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და უკრაინის მთავრობის სავაჭრო-ეკონომიური თანამშრომლობის განვითარების შესახებ 1992 წლის 6 აგვისტოს ხელშეკრულების ოქმი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

განცხადება

საქართველოს რესპუბლიკაში „სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების“ კანონის თანახმად მიმდინარეობს სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ცნობილი მიზეზების გამო ეს პროცესი შეჩერებულია.

მიუხედავად ამისა, არსებული ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმდინარეობს სახელმწიფო ქონების პრივატიზება მისი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ინტერესების შელახვით, რომელშიც მონაწილეობენ რუსეთის ფედერაციისა და სხვა ქვეყნების კომერციული სტრუქტურები.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი მოუწოდებს ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს, მათ შორის უცხოეთის ქვეყნებს, არ მიიღონ მონაწილეობა უკანონო ქმედობაში, ვინაიდან საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 10 მარტის დადგენილების თანახმად „იურიდიული ძალის არმქონეა ყველა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას და მიღებულია სეპარატისტული დაჯგუფების კონტროლს დაქვემდებარებული ან მათთან ალიანსში მყოფი სტრუქტურების მიერ“, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო ქონების ყველა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები და სხვა გარიგებანი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩაითვლება ბათილად, ხოლო გადახდილი თანხების დაბრუნებაზე ვიხსნით ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ

ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲐ

ᲞᲝᲡᲢᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲗᲐᲮᲔᲓᲕᲘᲗ

ბატონო რედაქტორო!

საყოველთაო ნგრევის, დაბნეულობისა და ქაოსის პირობებში, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პოსტკომუნისტური საზოგადოების განვითარების პერსპექტივების სწორ, თეორიულ გააზრებას. ამ მხრივ, ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პროფესორ ბურამ მუჩაიძის მცირე მოცულობის, მაგრამ ღრმა შინაარსის შემცველმა ნაშრომმა „ალტერნატივა“, რომელსაც ამ დღეებში ყურადღებით გავეცა- ით. ნაშრომში ჩამოყალიბებულია ორიგინალური დებულებები, რომლებიც იმსახურებენ ფართო სამართლებრივ საჯაროზე გამოტანას. ამიტომ მოგმართავთ თხოვნით, ოაქვეყნოთ აღნიშნული ნაშრომი თქვენი გაზეთის ფუ- ებზე, რათა მის ბარგიმო გაიშალოს დისკუსია. ეს, ფიქრობთ, ხელს შეუწყობდა ქართული საზოგადოებრივი ის შემდგომი განვითარების საქმეს.

ტივისცემით პროფესორი ვლადიმერ მერკვილაძე, პროფესორი ნოდარ ჭითანავა, პროფესორი ლეონიდე ჯახაია, ოფესორი ვლადიმერ ბულუა.

ᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ სისტემის კრა- ხის ორბიტაში მოქცეული ბის წინაშე მთელი სიმწვა- აყენა საკითხი მათი შე- ბედის შესახებ. განვითა- ების რა გზას უნდა დაადგნენ ეს ქვეყნები? აი მთავარი კითხვა, რომელიც დღეს პასუხს გაცემას მოითხოვს.

მემარჯვენე პარტიები თვლიან, რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში უნდა აღდგეს კაპიტალიზმი, ე. ი. ისინი უნდა დაუბრუნდნენ ბუნებრივი განვითარების იმ საფეხურს, რომელ საფეხურზეც შეწყდა ეს განვითარება.

კომუნისტური ორიენტაციის ძალები კი კომუნისტური სისტემის კრახს მხოლოდ სუბიექტური მიზეზებით ხსნიან. აქედან გამომდინარე, ისინი მისი რეანიმაციისაკენ მიისწრაფვიან.

ორივე ეს პოზიცია ურთიერთგამომრიცხავ უკიდურესობას შეადგენს და პოსტკომუნისტურ ქვეყნებს ცვლავ ჩიხში მომწყვდევას უქადის.

სოციალ-დემოკრატებს პოსტ- ომუნისტური ქვეყნების განვი- რების ერთადერთ რეალურ პე- ქტივად ესახებათ ამ ქვეყნე- არა წარსულისაკენ შემობრუ- , არამედ მათი უშუალო ჩარ- თანამედროვე მსოფლიო გან- რების საერთო ნაკადში, რო- ც დიდი ხანია გასცდა კაპი- ზმის ჩარჩოებს. მაგრამ ეს ა არ შეიძლება იყოს მექა- ი: წარმოების განსაზოგადო- მიღწეული დონე, სოცია- და ეთიკურ ღირებულებათა ი წონა პოსტკომუნისტურ ებს შესაძლებლობას აძლევს რდში მოექცნენ საკაცობ- საზოგადოებრივ პროგრესს. ამდებარე ნაშრომში წარმო- ლი თეორიული დებულებე- ნკუთვნილია პარტიული პრო- სა და სოციალური ინჟინე- თვის.

ᲝᲒᲠᲔᲡᲡ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲣᲚᲨᲘ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ

ᲕᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ისტორია წა- მოადგენს აღმასვლით მოძ- ს მიმართულს სულ უფრო უფალი, ჰუმანური და სამა- ანი საზოგადოებისაკენ. მა- ია, ახალი დროის ბურჟუა- მა რევოლუციებმა დააჩქა- წინსვლა ამ მიმართულებით, მ ისინი უფრო აცხადებდნენ, ახორციელებდნენ თავისუ- ის, თანასწორობის და ს იდეებს. სამართლებრივმა მწიფომ და პარლამენტიზმ- რძო კაპიტალის პირობებში მოხპო ადამიანების სოცია- ჩაგვრა, მათი უფლებრივი ისკრიმინაცია.

ცხოვრებამ ცხადყო, რომ საზო- ადოებას, რომელიც ეფუძნება ერძო კაპიტალის ბატონობას, არ ალუძს, უზრუნველყოს თავისუფლება, ჰუმანიზმი და სამართლიანობა.

მაგრამ ვერც კომუნისტურ ქვე- ნებში დამკვიდრებულმა სახელ- წიფო საკუთრების მონოპოლიამ ახერხა პროგრესული კაცობრი- ბის ოცნების ხორცშესხმა. ყვე- ასაგან საკუთრების გაუცხოებამ ვა დიქტატურა, შიში, მორჩილე- ა. ადამიანი სახელმწიფო მიზნე- ის მიღწევის უბრალო საშუალე- ად იქცა.

ცხოვრებამ ცხადყო, რომ საზოგადოებას, რომელიც ეფუძნე- , სახელმწიფო საკუთრების მო- ოპოლიას, ძალუძს უზრუნველ- ის თანასწორობა მხოლოდ უფლებობასა და სიღატაკეში.

კაპიტალისტურმა და კომუნის- ტურმა სისტემებმა გვიჩვენეს, ომ არც კერძო კაპიტალის და რც სახელმწიფო საკუთრების ონოპოლია თავისთავად არ წა- მოადგენს თავისუფლებისა და ართლიანობის გარანტიას. სა- ადოებრივმა პროგრესმა ეს ემები წარსულში ჩამოიტო-

ᲝᲪᲘᲐᲚ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ Ი ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝ- ᲨᲘᲪ ᲕᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲘᲗ

ᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ, რომელიც ფუნქციონირებდა ყოფილი საბჭ- კავშირის სივრცეში, იყო 1917 ს ოქტომბრის შეიარაღებული ნყების პირმშო. ეს აჯანყება ლშევიკებმა სოციალისტურ რე- ლუციად მონათლეს და მოაწყეს დროს, როდესაც რუსეთში ერ კიდევ არ იყო დამთავრებუ- ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რდაქმნები.

ძალაუფლების ხელში ჩაგდების ემდეგ ბოლშევიკებმა დაიწყე- ს მისცეს თავიანთი ლოზუნგე- ბი: „ფაბრიკა-ქარხნები — მუშებს“!, „მიწა — გლეხებს!“ და წარმოების საშუალებები სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადეს. ამ ექსტრემისტულ აქტს საფუძვე- ლად იდო ვ. ლენინის მცდარი წარმოდგენა სოციალიზმზე, რაც ითვალისწინებდა „ყველა მოქალაქის გადაქცევას ერთი მსხვილი სინდიკატის მუშაკებად და მოსამსახურეებად და ამ სინდიკატის მთელი მუშაობის სრულ დამორჩილებას სახელმწიფოსადმი“.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა ექსპროპრიაციამ წარმოშვა მასების ფართო ფენების უკმაყოფილება, რომელიც 20-იანი წლების დასაწყისში შეიარაღებულ აჯანყებებში გადაიზარდა, მწვავე შინაგანმა პოლიტიკურმა კრიზისმა ვ. ლენინი იძულებული გახადა განეცხადებინა: ქვეყნის ეკონომიკური და ხალხის კულტურული ჩამორჩენილობა საშუალებას არ იძლევა განვახორციელოთ უშუალო გადასვლა... სოციალიზმზე“. მან ასე განსაზღვრა ქვეყნის განვითარების პერსპექტივა: „სახელმწიფო კაპიტალიზმის გზით სოციალიზმისაკენ“.

სახელმწიფო კაპიტალიზმის პირობებში ვ. ლენინს შესაძლებლად მიაჩნდა საბჭოთა ხელისუფლების თანამშრომლობა კერძო კაპიტალისტურ ელემენტებთან. ამასთან, გადამწყვეტ მნიშვნელობას იგი ანიჭებდა კოოპერაციას, რომელსაც თვლიდა უაღრესად პერსპექტიულად „სოციალიზმზე შემდგომი გადასვლის თვალსაზრისით“.

ვ. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ი. სტალინმა დაამკვიდრა წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრების სრული მონოპოლია. 1936 წელს მან გამოაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში სოციალიზმმა გაიმარჯვა. მაგრამ ქვეყანაში შექმნილი საზოგადოება თავისი შინაარსით არ იყო სოციალისტური. იგი წარმოადგენდა სახელმწიფო კაპიტალიზმს, ოღონდ კერძო კაპიტალისტური ელემენტების გარეშე. ი. სტალინმა პარტიული და სახელმწიფო აპარატის დიქტატურაზე დაყრდნობით საფუძველი დაუდო ისეთ წყობილებას, რომლის დროსაც სახელმწიფო მოგვევლინა განზოგადებული კაპიტალისტის სახით.

სახელმწიფო-კაპიტალისტურმა მონოპოლიამ და დესპოტურმა პოლიტიკურმა რეჟიმმა, თუმცა, მოახერხა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის სწრაფი დაძლევა, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი სულ უფრო მეტ წინააღმდეგობაში ვარდებოდა საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ მსვლელობასთან. სწორი აღმოჩნდა კ. მარქსი, რომელიც წერდა, რომ სახელმწიფო საკუთრების მონოპოლია, ისევე როგორც ყველა სხვა სახის მონოპოლია, გარდაუვალად ავლენს მისწრაფებას უძრაობისა და ლპობისაკენ. კომუნისტური სისტემაც ამ კანონზომიერების მსხვერპლი შეიქნა.

ყოფილ საბჭოთა კავშირში გატარებული 60-იანი და 80-იანი წლების რეფორმები ვერ გასცდნენ სოციალიზმზე მცდარ წარმოდგენებს. მათ მხოლოდ დააჩქარეს კომუნისტური სისტემის კრახი.

ᲙᲔᲠᲫᲝ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ მსოფლიოში კერძო კაპიტალიზმი, როგორც ასეთი, აღარ არსებობს. მეცნიერულ-ტექნოლოგიურმა პროგრესმა, შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის მშრომელების პერმანენტულმა ბრძოლამ გამოიწვია კაპიტალისტური ურთიერთობების თვისებრივი გარდაქმნა. საკუთრებას გაემიჯნა მართვის ფუნქცია, რამაც ბურჟუაზიის საჭიროება საზოგადოებისათვის ზედმეტი გახადა.

დასავლეთის ქვეყნებში სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წილი მკვეთრად გაიზარდა, კერძო კაპიტალისტური საკუთრებისა კი შემცირდა. გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა საკუთრების კორპორაციულმა, ჯგუფურმა ფორმამ. ამასთან, უშუალო მწარმოებლების არც თუ ისე მცირე ნაწილი წარმოების საშუალებების თანამესაკუთრე გახდა. სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ეკონომიკის რეგულირებისა და მარგინალურ ფენებზე ზრუნვის ფუნქცია. იგი სოციალურ სახელმწიფოდ იქცა.

მოხდა ის, რასაც წინასწარმეტყველებდა კ. მარქსი: „კაპიტალის როგორც კერძო საკუთრების გაუქმება თვით კაპიტალისტური წარმოების წესის ფარგლებში“. კერძო კაპიტალიზმის გარდაქმნამ კორპორაციულ კაპიტალიზმად მნიშვნელოვნად აამაღლა მშრომელების მატერიალური კეთილდღეობის დონე, გაათავისუფლა მათი ცნობიერება რევოლუციურ-პროლეტარული სულისკვეთებისაგან.

კორპორაციული კაპიტალიზმი წარმოადგენს კაპიტალისტური წარმოების განვითარების უმნიშვნელოვანეს შედეგს, „გარდამავალ ეტაპს კაპიტალის გადასვლისაკენ მწარმოებლების საკუთრებაში, მაგრამ უკვე არა განცალკევებული მწარმოებლების კერძო საკუთრებაში, არამედ ასოცირებული მწარმოებლების საკუთრებაში“. (კ. მარქსი).

წარმოების საშუალებებზე საკუთრების ტრანსფორმაციამ დასავლეთის საზოგადოება სოციალისტურ იდეალს მიუახლოვა. ყოველივე ეს მოხდა რევოლუციების, აჯანყებებისა და სამოქალაქო ომების გარეშე, საზოგადოების ბუნებრივი განვითარებისა და სტრუქტურული რეფორმების გატარების შედეგად, რამაც თვალნათლივ ცხადყო სოციალ-დემოკრატიული ალტერნატივის ცხოველმყოფელობა.

კერძო კაპიტალიზმის ტრანსფორმაცია, ისევე როგორც კომუნისტური სისტემის კრახი, ნათელს ხდის იმას, რომ პოსტკომუნისტური საზოგადოების განვითარების წარმართვის მცდელობა კერძო კაპიტალიზმის თუ კომუნისტური სისტემის რესტავრაციის გზით სრულიად უპერსპექტივოა.

კაცობრიობის სვლა სოციალისტური იდეალისაკენ ხანგრძლივი პროცესია, რომელიც სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულ პრობლემებს წარმოაჩენს. პრობლემები რთულია, პროცესი კი — გარდაუვალი.

II. ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ კერძო საკუთრებისა და ქონებრივი უთანასწორობის წარმოშობისთანავე გაჩნდა მისწრაფება სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებისაკენ.

თავდაპირველად მან პირველყოფილი თემური საზოგადოების გაიდეალების სახე მიიღო, შემდგომში კი ხორცშესხმა ჰპოვა მრავალრიცხოვან უტოპიურ პროექტებსა და თეორიებში. მათი ავტორები ოცნებობდნენ საზოგადოების ისეთ მოწყობაზე, სადაც უზრუნველყოფილი იქნებოდა თითოეული ადამიანის თავისუფლებაც და კეთილდღეობაც. ისტორიაში ეს ოცნება სოციალისტური იდეალის სახელით შევიდა. მხოლოდ კაპიტალიზმის ეპოქაში შეიქმნა მისი მატერიალიზაციისათვის საჭირო წანამძღვრები.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲘᲓᲔᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲝᲑᲐ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ იდეალის მეცნიერული დახასიათების ერთ-ერთი პირველი ცდა ეკუთვნით კ. მარქსს და ფ. ენგელსს. მათ ნაშრომებში უტოპიურ წარმოდგენებთან ერთად იყო ისეთი დებულებებიც, რომლებშიც სწორად აისახა საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონზომიერება. ამ მხრივ საყურადღებოა სოციალიზმის წარმოსახვა ისეთ საზოგადოებად, რომელიც ეფუძნება წარმოების საშუალებებზე უშუალო მწარმოებლების ჯგუფურ, კოოპერაციულ საკუთრებას. კოოპერაცია, წერდა კ. მარქსი, საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს თავისუფალი მწარმოებლების ასოციაცია — სოციალისტური ურთიერთობების საფუძველი.

კოოპერაციული საკუთრების იდეა თანამიმდევრულად იქნა ცხოვრებაში გატარებული პარიზის „კომუნის“ მიერ. 1871 წლის 16 აპრილს მან მიიღო დეკრეტი, რომლის ძალითაც ფაბრიკა-ქარხნები საკუთრებაში გადაეცათ მუშების კოოპერატიულ საზოგადოებებს. ამის საფუძველზე კ. მარქსმა გააკეთა დასკვნა: სოციალიზმი ისეთი წყობაა, რომლის დროსაც მთელი წარმოება გაერთიანებული კოოპერატიული საზოგადოებების ხელშია. იგივე აზრს ავითარებდა ფ. ენგელსი, რომელიც 1886 წელს მიუთითებდა: ჩვენ ფართო მასშტაბებით უნდა გამოვიყენოთ კოოპერატიული წარმოება, როგორც [illegible] სო საზოგადოებაზე გადასვლისათვის. იდენტური იყო ე. ბერნშტეინის განმარტება. „სოციალიზმი არის მოძრაობა კოოპერატიული საზოგადოებრივი წყობისაკენ ან თვით ასეთი წყობა“.

მსოფლიოს განვითარების თანამედროვე გამოცდილებამ ცხადყო, რომ კოოპერაციული საკუთრება თავისთავად ვერ იქნება სოციალიზმის ეკონომიკური არსის სრული მახასიათებელი, მეცნიერულ-ტექნოლოგიურმა პროგრესმა განაპირობა ის, რომ საკუთრება, როგორც ასეთი, უკვე აღარ წარმოადგენს პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ბრძოლის ცენტრალურ საკითხს. დღეს უფრო აქტუალური გახდა საკუთრების სოციალიზაციის განხორციელება, ანუ საკუთრებაზე უფლებების რეალიზაციის პროცესში მთელი საზოგადოებისა და მისი თითოეული წევრის ჩართვა. ეს თანაბრად ეხება საკუთრების ყველა ფორმას: კერძოსაც, ჯგუფურსაც, მუნიციპალურსაც და სახელმწიფოსაც.

გამომდინარე აქედან, სოციალიზმი შეიძლება განისაზღვროს მოძრაობად ისეთი საზოგადოებისაკენ, სადაც საკუთრებაზე უფლებების რეალიზაციის საქმეში ჩაბმული იქნება მთელი საზოგადოება და მისი თითოეული წევრი.

ამ იდეალთან დასავლეთისა და პოსტკომუნისტური სამყაროს ქვეყნების მიახლოების გზები განსხვავებულია. თუ დასავლეთის ქვეყნების წინაშე დგას ამ ქვეყნებში გაბატონებული კორპორაციული საკუთრების სოციალიზაციის ამოცანა, პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა უნდა იზრუნონ ამ ქვეყნებში გაბატონებული სახელმწიფო საკუთრების სოციალიზაციაზე.

აღნიშნული სპეციფიკის გამო ამ ორი სამყაროს სოციალ-დემოკრატები ვერ იქნებიან ტყუპისცალები.

საკუთრების სოციალიზაცია სოციალიზმის ეკონომიკური არსია. მისი პოლიტიკურ არსს კი შეადგენს ხალხის თვითმმართველობა და პიროვნების თვითგამორკვევა, რაც მიიღწევა მხოლოდ თანამიმდევრული დემოკრატიის პირობებში. დემოკრატია სოციალიზმის დამკვიდრების საშუალებაც არის და მისი არსებობის ფორმაც.

საკუთრების სოციალიზაცია და სახელმწიფო მართვის დემოკრატიზაცია პიროვნების თავისუფლებისა და კეთილდღეობის გარანტიაა. მისი ხარისხი საზოგადოების სოციალისტურობის საზომია.

სოციალისტური იდეალის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ობიექტურ კანონზომიერებებისა და ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებული სტრუქტურული რეფორმების გატარებით.

საზოგადოებაზე ძალადობა დაუშვებელია. ისტორიას ვერც უკან და ვერც წინ ვერ გადაახტები. კომუნისტებმა, რომლებმაც ეს ვერ გაითვალისწინეს, მარცხი განიცადეს, სოციალ-დემოკრატებმა, რომლებმაც ეს გაითავისეს, წარმატება მოიპოვეს.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ სოციალ-დემოკრატებმა მსოფლიოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს შორის პირველებმა შეძლეს ხელისუფლებაში მოსვლა. რუსეთში გაბატონებული ბოლშევიკებისაგან განსხვავებით ისინი რეალისტები და პრაგმატიკოსები აღმოჩნდნენ. „ჩვენში, საქართველოში, — მიუთითებდა ქართული სოციალ-დემოკრატიის მამამთავარი ნოე ჟორდანია, — სოციალიზმი შეგვიძლია დავისახოთ როგორც ისტორიული პერსპექტივა და არა როგორც უახლოესი პრაქტიკული ამოცანა“.

ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ჯერ კიდევ 1893 წელს თავის საპროგრამო მოთხოვნებად განსაზღვრეს: „ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული ადამიანისა!“

იმდენად, რამდენადაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა პირველი რიგის ამოცანად მიიჩნიეს ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, „ერის თავისუფლების“ მოპოვება, რაც წარმატებით დაგვირგვინდა 1918 წლის 26 მაისს.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია იმ დროისათვის იყო პირველი და ერთადერთი სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელმაც ერის თავისუფლების ლოზუნგი საპროგრამო პრინციპად გამოაცხადა და რომელიც ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეს ჩაუდგა სათავეში.

ქართველი სოციალ-დემოკრატების მმართველობა აღინიშნა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და რეგულირებადი საბაზრო მეურნეობის შექმნით. ქვეყანაში, შერეული ეკონომიკის პირობებში, სულ უფრო ფართო მასშტაბებს იღებდა საკუთრების სოციალიზაციის პროცესი. მოსახლეობის ნახევარზე მეტი უშუალოდ იყო ჩაბმული საკუთრებით ურთიერთობებში.

რეალისტურმა პოლიტიკამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას 1919 წლის საპარლამენტო არჩევნებში შთამბეჭდავი გამარჯვება მოუპოვა. 130 სადეპუტატო მანდატიდან მას წილად ხვდა 109. ისტორიაში ეს იყო ხალხის მხრიდან სოციალ-დემოკრატიული მმართველობის პირველი აღიარება და მხარდაჭერა.

ქართველი სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობამ მეორე ინტერნაციონალის დიდი ყურადღება მიიპყრო; მისი დელეგაცია კ. კაუცკის მეთაურობით 1920 წლის შემოდგომაზე საგანგებოდ ეწვია საქართველოს. დელეგაციის წევრებმა ერთხმად აღიარეს: სახელმწიფო მმართველობის ქართული მოდელი მთელი მსოფლიოს სოციალ-დემოკრატიული პარტიებისათვის მისაბაძ ნიმუშად უნდა იქცეს. ეს ასეც მოხდა. შემდგომში დასავლეთის ქვეყნებში ხელისუფლების სათავეში მოსულმა სოციალ-დემოკრატებმა ქართული გამოცდილება ორიენტირად გაიხადეს.

ქართველი სოციალ-დემოკრატების სახელმწიფო საქმიანობა, სამწუხაროდ, ხანმოკლე აღმოჩნდა. 1921 წლის გაზაფხულზე ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველო დაიპყრო, რის შედეგად ქვეყანაში დამხობილ იქნა სოციალ-დემოკრატიული მმართველობა. კომუნისტური საქართველო საბჭოთა იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახდა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლამ ნათელყო ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ სოციალისტურ იდეალთან ერის თავისუფლების ლოზუნგის შეერთების მნიშვნელობა: თავისუფლებას მოკლებული ერის ჩართვა ინტეგრაციულ პროცესში მას დეზინტეგრაციული მუხტის მატარებლად აქცევს.

III. ᲞᲝᲡᲢᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐ

ᲞᲝᲡᲢᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ქვეყნების ჩართვა თანამედროვე მსოფლიო განვითარების საერთო ნაკადში პირველ რიგში მოითხოვს ამ ქვეყნებში საბაზრო ურთიერთობების ისეთი სისტემის დამკვიდრებას, სადაც სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის რეგულირება შეხამებული იქნება ავტონომიურ საბაზრო მექანიზმებთან.

ასეთი შეხამება ვერ მიიღწევა მემარჯვენე პარტიების მიერ შემოთავაზებული ე. წ. „შოკური თერაპიის“ გზით, რომელიც საბაზრო სტიქიასა და სახელმწიფო საწარმოების კერძო საკუთრებაში მექანიკურ გადაცემაზეა ორიენტირებული.

სოციალ-დემოკრატების თვალთახედვა სულ სხვაა. ისინი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების საფუძვლად მიიჩნევენ არა საკუთრების ერთი ფორმის მეორეთი შეცვლას, არამედ საკუთრებაზე უფლებების რეალიზაციის საქმეში მთელი საზოგადოების, მისი თითოეული წევრის ჩაბმას.

„ᲨᲝᲙᲣᲠᲘ ᲗᲔᲠᲐᲞᲘᲘᲡ“ ᲛᲘᲣᲚᲔᲒᲚᲝᲑᲐ ᲞᲝᲡᲢᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

„ᲨᲝᲙᲣᲠᲛᲐ თერაპიამ“, რომლითაც პოსტკომუნისტური ქვეყნები ცდილობდნენ საბაზრო მეურნეობაზე გადასვლას, სრული კრახი განიცადა. ვერცერთ ქვეყანაში ვერ იქნა შეჩერებული წარმოების დაცემა, უმუშევრობის ზრდა, ინფლაცია, შემოსავლების უკიდურესი პოლარიზაცია, კაპიტალდაბანდებათა შემცირება, მოსახლეობის უმრავლესობის გაღატაკება.

„შოკურმა თერაპიამ“ პოსტკომუნისტური ქვეყნების ხალხებს სოციალური უბედურება, ეკონომიკური ქაოსი და პოლიტიკური არასტაბილურობა მოუტანა. „შიშველმა ნგრევამ“ ნაცვლად „აღმშენებლობითი ნგრევისა“ სოციალური ოპტიმიზმი სოციალური პესიმიზმით შეცვალა. გაძლიერდა ნოსტალგია ძველი, ტოტალიტარული რეჟიმის მიმართ.

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში „შოკური თერაპიის“ კრახი განაპირობა ამ ქვეყნების ინდუსტრიული განვითარების მაღალი დონისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სახელმწიფო სისტემის მასშტაბურობის გაუთვალისწინებლობამ. გასაზოგადოებული წარმოებითი და განაწილებითი ურთიერთობები ობიექტურად ითხოვდნენ საბაზრო მეურნეობაზე არა რევოლუციურ, ნახტომისებურ, არამედ გეგმაზომიერ, ეტაპობრივ გადასვლას.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ)

ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ

„ᲤᲐᲘᲜᲔᲜᲨᲔᲚ ᲢᲐᲘᲛᲡᲨᲘ“ გამოქვეყნდა ბ. კლარკის საყურადღებო სტატია (**„საქართველოსათვის გაწვდილი სასიცოცხლო ბაწარი“**), რომელიც განიხილავს ევროკავშირის დახმარებას საქართველოსადმი. აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვანი მატერიალური დახმარების გამო ბოლო ხანს საგრძნობლად გაძლიერდა ევროკავშირის პოზიციები კავკასიის სტრატეგიულ ქვეყანაში — საქართველოში, რომელსაც სტატიის ავტორი **„პოტენციურად მნიშვნელოვან სახელმწიფოდ“** მიიჩნევს. ნათქვამია, რომ შარშან ევროკავშირის მიერ კავკასიისათვის გამოყოფილმა დახმარებამ (205 მილიონ ეკიუს ოდენობით) თითქმის ნახევრად დაუმორჩილა საქართველო ბრიუსელს, რადგან საქართველოს 1995 წლის საბიუჯეტო შემოსავლის ნახევარი სწორედ ამ ჰუმანური დახმარების რეალიზაციისაგან შემოდის (ავტორი აჭარბებს ამ მონაცემებს, რადგან არ ითვალისწინებს ამერიკის შეერთებული შტატების ანალოგიურ დახმარებას). მითითებულია, რომ გარდა წმინდა ჰუმანიტარული ნიშნისა, ევროკავშირის დახმარება სხვა მიზნებსაც ემსახურება. კერძოდ, ევროპიდან შემოსული საკვები პროდუქტების ხარჯზე მიღწეულია კუპონის ნაწილობრივი სტაბილიზაცია, ხორციელდება ეკონომიკური რეფორმები, მაგრამ მთავარი — ჰუმანიტარული ფაქტორია. მოყვანილია ბატონ ე. შევარდნაძის მიერ ბრიუსელში 17 თებერვალს გაკეთებული განცხადება, რომელშიც მაღალი შეფასება მიეცა ევროკომისიის დახმარებას: **„რომ არა ეს დახმარება, საქართველო დაიღუპებოდა“**. აღნიშნულია, რომ თბილისი იქცა ევროკავშირის დასაყრდენ პუნქტად მისი ჰუმანიტარული პოლიტიკის განსახორციელებლად სომხეთსა და აზერბაიჯანში, რომლებიც ბოლო ხანს ერთობლივად თანამშრომლობენ ევროკომისიის წარმომადგენლებთან. **„1921 წლის შემდეგ ევროპას არ განუხორციელებია ასეთი აქტიური პოლიტიკა ამ რეგიონში“**. ამავე დროს გაზეთი ყურადღებას მიაპყრობს რუსეთის განსაკუთრებულ როლს რეგიონში, რომელთანაც საქართველომ ბოლო ხანს მიაღწია ურთიერთობის გაუმჯობესებას: **„აფხაზეთის საკითხისადმი მოსკოვის მიდგომა იცვლება საქართველოს სასარგებლოდ“**. ამავე კონტექსტში ნახსენებია ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლობა რუს სამხედროებთან და მოკლედ მოხსენებულია გენერალ გლადიშევის ცნობილი ინტერვიუ გაზეთ „იზვესტიაში“.

„ევროკავშირი ალბათ ვერ შეძლებდა საქართველოში ჰუმანიტარული ოპერაციების განხორციელებას, რომ არა კრიმინოგენული ვითარების უცნაურად სწრაფად გაუმჯობესება ბოლო ნახევარი წლის მანძილზე“, — წერს ავტორი. მისი აზრით ეს მოვლენა დაკავშირებული უნდა იყოს იმასთან, რომ ადგილობრივი მაფია აღარ არის დაინტერესებული დესტაბილიზაციით.

ხაზი ესმება საქართველოს დაინტერესებას მის ტერიტორიაზე არსებული ნავთობსადენის ამოქმედებით, **„რამაც შეიძლება კრიზისულ მდგომარეობიდან გამოიყვანოს საქართველო“**.

[illegible] მონაცემებით ეს სტატია დაიწერა ევროკომისიის ინიციატივით და მისი მიზანია დაანახვოს ევროკავშირის პოლიტიკურ წრეებს და საზოგადოებრიობას, რომ კავკასიის რეგიონისა და, კერძოდ, საქართველოს დახმარებას რეალური ჰუმანიტარული და პოლიტიკური შედეგები მოჰყვა.

საგულისხმოა, რომ სტატიაში არ არის მოყვანილი ფაქტები ადგილობრივი მაფიის მიერ ევროკავშირის დახმარების მითვისების შესახებ, რაზეც ადრე ევროპული პრესა და პოლიტიკოსები უჩიოდნენ ევროკომისიას.

• • •

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲚᲔᲢᲔᲜᲘᲡ ცნობით, სომხეთის პრეზიდენტის წარმომადგენელმა ბ-მა ლიბარიდიანმა ანკარაში ყოფნისას განაცხადა, რომ სომხეთი მზად არის დაამყაროს თურქეთთან დიპლომატიური ურთიერთობა.

• • •

8 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ „ᲤᲐᲘᲜᲔᲜᲨᲔᲚ ᲢᲐᲘᲛᲡᲘ“ იტყობინებოდა, რომ გრძელდება კამათი მსოფლიოს უმდიდრესი კასპიის ზღვის გაზისა და ნავთობის საბადოების გამო, რომელიც 1890 წელს დაწყებული რუსეთის და დიდი ბრიტანეთის იმპერიების „დიდი თამაშის“ თანამედროვე ვარიანტი გახლავთ. რუსეთის პოზიცია ნათელია: იგი ცდილობს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აკონტროლოს ენერგომატარებლების არა მარტო საექსპორტო საშუალებები და წარმოება, არამედ მონაწილეობა მიიღოს ყველანაირ სატრანზიტო გადაზიდვებში. კასპიის ზღვის გაზისა და ნავთობის გადაზიდვის საკითხი იწვევს ყველაზე დიდ კამათს დაინტერესებულ მხარეებს შორის. რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების გარდა უნდა გავითვალისწინოთ თურქეთისა და ირანის პოზიციები, რომლებიც თავიანთი მხრიდან ძალზე აქტიურად არიან ჩართული ამ პროცესში.

რუსეთი თავის ვარიანტს იცავს, რომელიც რუსეთის ნავსადგურ ნოვოროსიისკის, ბულგარეთის ნავსადგურ ბურგასის და საბერძნეთის ნავსადგურ ალექსანდროპულოსის გამოყენებას ითვალისწინებს. ირანი თავისი ტერიტორიის გამოყენებას აპირებს, რომელიც ინდო-აზიურ სისტემას უკავშირდება. მაგრამ ამას ეწინააღმდეგებიან ამერიკელები, რომლებიც საკმაოდ დიდ საინვესტიციო პროგრამას ახორციელებენ კასპიის ზღვის რეგიონში და უარყოფითად აფასებენ ირანთან სავაჭრო და საფინანსო ოპერაციების პერსპექტივას. თურქეთის წინადადება საქართველოს ინტერესებს ითვალისწინებს — არსებული ბაქო — თბილისის ნავთსადენის აღდგენას და შემდგომ თურქეთის ნავთსადენების გამოყენებას. ეს გზა ჯერ კიდევ 1880 წელს როტშილდების მიერ იყო გამოყენებული და მას გარკვეული უპირატესობა აქვს: ამერიკელების წინააღმდეგობა ირანის მიმართ, თურქეთის პოზიცია ბოსფორის სრუტეში, რუსეთის გარკვეული მონოპოლია ამ რეგიონზე. ეს ყველაფერი, ექსპერტების აზრით, გასათვალისწინებელია, ისევე როგორც ყარაბაღის ომის შესაძლო გაგრძელება. **„როგორც პრეზიდენტ შევარდნაძის მრჩეველი ირაკლი მაჭავარიანი აღნიშნავს, საქართველოს ტერიტორიის გამოყენებას ამ კონტექსტში რეალური ალტერნატივა არა აქვს“** — აღნიშნავს „ფაინენშელ ტაიმსი“.

ამავე გაზეთის ცნობით, დასავლეთის დონორებმა უზბეკეთს გამოუყვეს 900 მილიონი დოლარი კრედიტებისა და დახმარების სახით. მართალია, დონორთა შორის არის აზრთა სხვაობა იმის თაობაზე, თუ როგორ მიმდინარეობს რეფორმები უზბეკეთში და როგორ მართავენ ქვეყანას ყოფილი კომუნისტური ბოსები პრეზიდენტ ი. კარიმოვის მეთაურობით, მაგრამ მსოფლიო ბანკის დირექტორის სიტყვებით, უზბეკეთის ეკონომიკა მეზობელ რესპუბლიკებთან შედარებით უკეთესად გამოიყურება.

ᲞᲠᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ᲔᲕᲠᲝᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ წინადადებით, სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობების წარმომადგენელთა მონაწილეობით, თბილისში გაიმართა სამხრივი შეხვედრა (ევროკომისიის მონაწილეობით) რომელზეც განიხილეს კავკასიის რესპუბლიკებისათვის ევროკავშირის ჰუმანიტარული დახმარების (საკვები პროდუქტები) მსვლელობის საკითხები, განხილული იყო აგრეთვე მთიანი ყარაბახისათვის განკუთვნილი დახმარების „დელიკატური“ პრობლემაც.

• • •

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ კულმინაციურ სტადიაში შედის საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანია. მიმომხილველთა გაკვირვება გამოიწვია პარიზში მოწყობილმა ბოლო ორმა გამოკითხვამ, რომლებშიც პარიზის მერმა ჟაკ შირაკმა პირველად გაუსწრო პრემიერ მინისტრ ე. ბალადიურს.

• • •

ᲜᲐᲢᲝ

ᲜᲐᲢᲝᲡ ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ა. გორი, რომელიც შეხვდა 16 წევრი სახელმწიფოსა და რუსეთის ელჩებს. შეხვედრის მიზანი იყო დაერწმუნებინა რუსეთი განაახლოს ნატოსთან დიალოგი, რომელიც პრაქტიკულად შეწყდა შარშან დეკემბრიდან, როდესაც რუსეთმა უარი განაცხადა ნატოსთან თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებაზე. გაზეთებს „ინტერნეშნელ ჰერალდ ტრიბუნსა“ და „გარდიანს“ მოჰყავდათ ა. გორის სიტყვები: **„აღმოსავლეთისკენ გაფართოება მოხდება თანდათანობით და ყოველგვარი ნაუცბათევი ნაბიჯისა და სიურპრიზების გარეშე, საჯაროობის პრინციპით. არცერთ ალიანსის გარეთ მყოფ ქვეყანას არა აქვს ვეტოს უფლება ალიანსის გადაწყვეტილებაზე. ნატოს გაფართოება აღმოსავლეთისკენ რუსეთთან თანამშრომლობის გაღრმავების პარალელურად წარიმართება. ეს ორი პარალელური და არა ერთმანეთზე გადაჯაჭვული პროცესია. მე იმედი მაქვს, რომ რუსეთი მალე შეცვლის თავის პოზიციას და გააფორმებს ნატოსთან „მშვიდობისათვის [illegible] საშუალება, რათა გაარკვიონ თავიანთი ურთიერთობა. ნატოს რუსეთთან მოლაპარაკება, ამერიკა-რუსეთის პოზიციების შეთანხმება დღეისათვის ისტორიული მნიშვნელობის მქონე ამოცანაა“. „ფაინენშელ ტაიმსის“ მონაცემებით „რუსეთის მთავრობა ნატოსგან მოითხოვს ყოფილი ვარშავის პაქტის სახელმწიფოებთან დადებულ ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანას ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებასთან დაკავშირებით და რუსეთის რეგიონული ინტერესების ფართო აღიარებას რუსეთის სამხრეთის მიმართულებით“.**

ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას გამოთქვა თავისი მტკიცე მხარდაჭერა ნატოს გენერალური მდივნისადმი, რომელიც [illegible] ბელგიის საჰაერო ჯარისთვის ვერტმფრენების შესყიდვისას ქრთამის აღების საქმეში: **„ბოლომდე გვჯერა რა მისი, ჩვენ მხარს ვუჭერთ ვილი კლასს და მის მიერ ნატოს ხელმძღვანელობას“**. ნატოელი დიპლომატები კი არ ცდილობენ დამალონ თავიანთი გულისწყრომა და ნერვიულობა ამ გახმაურებულ სკანდალთან დაკავშირებით. როგორც ერთ-ერთმა ნატოს მაღალმა ოფიციალურმა პირმა განაცხადა: **„ჩვენ გვსურს მალე გაირკვეს და თავის ადგილზე დადგეს ყველაფერი. დარწმუნებული ვარ ბატონ ვ. კლასსაც იგივე სურს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს უარყოფითად აისახება ნატოზე“.** ამ მხრივ განსაკუთრებით მკაცრად გამოვიდა ჰოლანდიის თავდაცვის მინისტრი იორის ვერჰუვე: თუ **„ბატონ ვ. კლასის პოზიცია გაურკვეველია, ჯობია, რომ იგი გადადგეს, ხოლო შემდეგ კი ბოლომდე დაზუსტდეს ყველაფერი. იმედი მაქვს, რომ იგი ამ გარიგებაში გარეული არ არის“.**

ამასობაში იზრდება პოლიტიკური ზეწოლა განსაკუთრებით ბელგიის ოპოზიციური პარტიების მხრიდან, რათა სამმა ბელგიელმა მაღალი თანამდებობის პირმა — ნატოს გენერალურმა მდივანმა ვ. კლასმა, ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰანს ვანდენბრუკმა და პარტიის ლიდერმა ლუის ტობაკმა თავიანთი პოსტები დატოვონ. როგორც 1 მარტის „ინტერნეშნელ ჰერალდ ტრიბუნი“ იტყობინებოდა, **„ბატონებმა კლასმა, ვანდენბრუკმა და ტობაკმა აღიარეს გასულ კვირას, რომ მათ იცოდნენ იტალიელი მეწარმის აუგუსტას მიერ პარტიისთვის 50 მილიონიანი ბელგიური ფრანკის (1,66 მილიონი ამერიკული დოლარი) „საჩუქრის“ შეთავაზების შესახებ. ამჟამად დაპატიმრებული არიან პარტიის ყოფილი ხაზინადარი ეტიენ მანფე და ვ. კლასის ყოფილი თანაშემწე იოჰან დელანგე. მათ ჩვენებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული“.**

• • •

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ

„ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲨᲜᲔᲚ ᲰᲔᲠᲐᲚᲓ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲘ“ იტყობინებოდა ირანის მიერ სპარსეთის ყურის სტრატეგიულ კუნძულებზე რაკეტების განლაგების შესახებ. პენტაგონმა განსაკუთრებული შეშფოთება გამოთქვა ირანის მიერ ორი რუსული წყალქვეშა ნავის შეძენის გამო. ამერიკის შეერთებული შტატების გაერთიანებული სარდლობის თავმჯდომარის გენერალ შალიკაშვილის სიტყვებით **„ირანს შეუძლია შეცვალოს ერაყის რეგიონში სიტუაცია თავისი პოტენციური გავლენითა და სამხედრო სიძლიერით“**. მაშინ, როდესაც ამერიკა ცდილობს ირანის იზოლაციას ტერორისტების მფარველობის გამო, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი აცხადებს, რომ რაკეტების განლაგება ირანის საჰაერო თავდაცვის უზრუნველსაყოფად გადადგმული ნაბიჯია სიონისტური საფრთხის წინააღმდეგ.

• • •

ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების ცნობით ბრიუსელში ამჟამად არსებულ 175 ქვეყნის საელჩოებში მუშაობს 3,500 უცხოელი დიპლომატი და თითქმის ამდენივე საკონსულოს თანამშრომელი, რაც მათი ოჯახების წევრთა რაოდენობისა და მომსახურე პერსონალის ჩათვლით თითქმის 50 ათასამდე ადამიანს ითვლის... რომ არაფერი ვთქვათ ევროკავშირთან და ნატოსთან არსებულ დელეგაციებზე, 1994 წელს ბელგიაში იყო 1413 არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ შორის 1125 — ბრიუსელში, რაც თავისებური რეკორდია, რომელიც საგრძნობლად უსწრებს პარიზისა და ნიუ-იორკის მაჩვენებლებს.

ᲑᲔᲜᲘᲚᲣᲥᲡᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ ᲞᲠᲔᲡᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ.

ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲡ ᲗᲐᲜᲮᲐ ᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲯᲘᲑᲔᲨᲘ?

ᲡᲣᲚ იმას გავიძახით, როდის გვიშველებაო. ყველას სხვისი იმედი აქვს, — ძირითადად საზღვარგარეთისა, ზოგს — ფირმისა, ზოგს — ბიზნესმენისა, ზოგს — ინვესტორისა... საკუთარი თავისა, — არავის! არადა, თვით უცხოელები გვეუბნებიან, თქვენი გადარჩენის გასაღები თქვენსავე ხელთაა, თავად თუ არ გაანძრევთ მარჯვენას, თავად თუ არ აუწყობთ ფეხს საბაზრო ეკონომიკას, ვერაფერს გიშველითო.

სწორიც არიან! კი, ბატონო, გვიჭირს, ძველი წყობა დავანგრიეთ, იქნებ ნაბან წყალს ბავშვიც გადავაყოლეთ, მაგრამ... საკითხავია, — ახლის შენება აღარ უნდა დავიწყოთ? ვიდგეთ ასე პირდაღებულები და ჰუმანიტარული დახმარებით ვათრიოთ მომავლის წლები? არ გამოვა! დაგვეხმარებიან ერთ წელიწადს, ორს, სამს... მერე გვეტყვიან, — თანაც კორექტულად, — კარგად ბრძანდებოდეთო. საამისო სიგნალები უკვე არის.

მაშ, მოდით, მოვუაროთ, მივხედოთ ჩვენს თავს. ჩვენი თავის მიხედვა კი იწყება მართლაც თითოეული ჩვენგანის მოწესრიგებით, მოქალაქეობრივი შეგნების ამაღლებით, იმის ღრმა გაგებით, რომ ამიერიდან სიკვდილამდე სახელმწიფომ კი არ უნდა გვარჩინოს ნამათხოვრალი კრედიტებით, არამედ უნდა შევქმნათ ჩვენი მყარი, სოლიდური ბიუჯეტი, რათა ამ სახელმწიფომ ამ ბიუჯეტიდან უხვად გასცეს ხელფასები, პენსიები თუ სხვა დახმარება-შეღავათები, შექმნას ნორმალური ცხოვრების, ნორმალური დასვენების პირობები.

რატომ ვაკეთებთ ამხელა შესავალს? ლექციის არავის ვუკითხავთ. უბრალოდ, გვინდა კიდევ ერთხელ განვუმარტოთ ყველას, რომ ვისაც შემოსავალი და მოგება აქვს, გაიღოს გადასახადი ბიუჯეტის სასარგებლოდ, ხაზინას მისცეს ის თანხა, რაც მას კანონიერად ეკუთვნის. სხვანაირად სახელმწიფო სალარო არ შეივსება, ჩვენთვის საჭირო, ჩვენთვის საკეთილდღეო ღონისძიებებიც არ განხორციელდება!

არ უარვყოფთ, — შემოსავალს ყველგან მალავენ — ამერიკაშიც, გერმანიაშიც, იაპონიაშიც.. და ამისთვის იქ სასტიკად სჯიან, ციხეშიც ისტუმრებენ. მათი ხაზინა სავსეა, გამოტენილია, ჩვენი კი ცარიელია, გამოფხეკილია. ჩვენ ვაპატიოთ? ვმალოთ შემოსავალი? მაგრამ გააჩნია დოზას. 5-10 პროცენტი იქნებ მთლად არ გაგვაჩანაგებს, მაგრამ... როცა ამ პროცენტის დასახელებაც კი გვიჭირს, ძნელდება სახელმწიფოს არსებობაც და იმ უწყების მუშაობაც, ვინც გადასახადის სისწორეს აკონტროლებს.

სულ ექვსიოდე თვეს ითვლის რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექციის ოპერატიული სამმართველო, რომლის უფროსი ბატონი გრიგოლ შონია თავად ეძებს ბიუჯეტის შესავსებ რეზერვებს, საკმაო წარმატებით პოულობს კიდეც მათ. შემდეგ კოლექტივი ბიუჯეტში აგზავნის ძალზე სოლიდურ თანხებს, თუმცა, როგორც იტყვიან, დიდი შრომის, დიდი ბრძოლის ფასად. კი, არის გამგები, დამჯერი ხალხი, წაასწრებ დანაშაულზე, უპოვი დამალულ შემოსავალს, — უყოყმანოდ გაიღებს გასაღებს, მაგრამ არიან ურჩებიც. — არაფრის გაგონება არ სურთ...

ოპერატიული სამმართველოს მე-7 განყოფილებას ფიზიკურ პირთა დაბეგვრა ევალება. ცხადია, იმ ფიზიკურ პირთა, ფული რომ მოსდით საკუთარი შრომის ფასად: ვთქვათ, კერძო ექიმები, კერძო ტაქსები, დურგლები, მღებავები, რეპეტიტორები, ხელოვნების მუშაკები, ბინის გამქირავებლები... ძნელი უბანია. განყოფილების უფროსს თამაზ ქარსიძესა და მის მუშაკებს საკმაო ცოდნაც აქვთ, გამოცდილებაც და მაინც ჭირს თითოეულ ადამიანთან მუშაობა, — ათასი ახსნა-განმარტება, ათასი ნამუსზე შეგდება... მაინც ჭირს.

ამჯერად ავიღოთ ბინის გამქირავებლები. მარტო თბილისში, ძირითადად მთაწმინდის, ვაკის, საბურთალოს, დიდუბის რაიონებში ასობით ბინა თუ შენობაა გაქირავებული უცხოელ მოქალაქეებზე, ფირმებზე, საელჩოებზე... იღებენ დოლარებს. არა ორასსა და სამასს, ზოგი ცხრაასსა და ათასსაც. აი, დოლარებს იღებენ, საკუთარ ჯიბეში იდებენ, სახელმწიფოს კი არაფერს აძლევენ. წესია, კანონია, — შემოსავალი გაქვს? გადასახადიც უნდა გადაიხადო. მორჩა და გათავდა!

ჩვენს დედაქალაქში ეს ჯერ ვერ გაიგეს. ახლახან მე-7 განყოფილების მუშაკებმა სამი აქტი შეადგინეს. ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოსაღებია 3.600 დოლარი. ჯიუტობენ ბინების პატრონები, — ჩვენი შენობებია, სახელმწიფოს არაფერს მივცემთო. აქტები გადაეგზავნა ადგილობრივ საგადასახადო ინსპექციებს. თუ იმათაც ტკბილი სიტყვით მიზანს ვერ მიაღწიეს, მაშინ ურჩებს სასამართლოს გადასცემენ. ჯერჯერობით მათ გვარებს არ ვასახელებთ. შეგნებულად არ ვასახელებთ. თუ, დაგვპირდა, — შემდეგში არ მოვერიდებით.

სხვა გზა არ არის. კანონმა უნდა იკანონოს აი, რა წერია საქართველოს რესპუბლიკის კანონში „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“: წლის განმავლობაში შემოსავლის წყაროების წარმოქმნისას ფიზიკური პირები დეკლარაციას წარადგენენ (შეატყობინებენ საგადასახადო ინსპექციას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) შემოსავლის წყაროს წარმოქმნიდან ერთი თვის შემდეგ ხუთი დღის ვადაში. თუ არადა... მოდის ჯარიმა მინიმალური ხელფასის 250-მაგი ოდენობით, ესე იგი, ჩვენი რესპუბლიკის მაგალითით, 375 მილიონი კუპონი.

ოპერატიული სამმართველოს მუშაკები არავის აშინებენ. უბრალოდ აფრთხილებენ, რომ გადასახადები ყველამ უნდა გადაიხადოს, დროზე გადაიხადოს. მერე ურჩევია, ჯარიმის თანხები მატულობს. მუდმივ გაწამაწია, მუდმივ დავას სჯობს გონს დროზე მოვეგოთ, სახელმწიფოს თავისი წილი მივცეთ. მარტო ამ ბინის გამქირავებლებისაგან თბილისის ბიუჯეტი თვეში დაახლოებით 10-12 ათას დოლარს კარგავს. რატომ? ვინ გვაპატიებს ამას? არავინ!

წლევანდელ ორ თვეში მე-7 განყოფილების მუშაკებმა 30 ფიზიკური პირი შეამოწმეს და მათ დამატებით 15 მილიარდი კუპონი დაარიცხეს. ამასთან ბიუჯეტის სასარგებლოდ 10 მილიარდი კუპონი შარშანდელი ნარჩენიც ამოიღეს, ეს კარგი მაჩვენებელია, მაგრამ შეიძლება გაცილებით უკეთესი შედეგების მიღწევა, თუკი მოქალაქეთა მხრიდან კანონისადმი, სახელმწიფო ინტერესებისადმი უფრო ცივილიზებული, შეგნებული მიდგომა იქნება!

ᲑᲝᲜᲓᲝ ᲑᲣᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ინფორმაცია

ქართველები რუსეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიაში

რუსეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემია სწავლობს საქართველოს ქვეყნისა და მსოფლიოს სხვა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, ეკოლოგიურ, ეთნოპოლიტიკურ პრობლემებს. აკადემიაში მოღვაწეობენ გამოჩენილი მეცნიერ-პოლიტოლოგები, ეკონომისტები, სოციოლოგები, იურისტები, ეთნოლოგები, დემოგრაფები, მათ შორის უცხოელებიც — მილოსლავ პეტრუსეკი (ჩეხეთი), დანიილ მარკოვიჩი (იუგოსლავია), ედუარდ ლობანსკი (აშშ), ლუტც კოხი (გერმანია), ლეონიდ კუჩმა (უკრაინა), ვიაჩესლავ კებიჩი (ბელორუსია), ნურსულთან ნაზარბაევი (ყაზახსტანი), კირსან ილუმჟინოვი (კალმიკია) და სხვა.

და აი, ახლახან, რუსეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა აკადემიის შემადგენლობაში ორი ახალი წევრი მიიღო — საქართველოს ეკონომისტთა კავშირის თავმჯდომარე, ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ნოდარ ჭითანავა და საზოგადოება „საქართველოს მომავლის" თავმჯდომარე, ახალგაზრდა მეცნიერ-პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია. როგორც აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ოსიპოვმა განაცხადა, ახალი წევრების მიღების საზეიმო ცერემონიალი მიმდინარე წლის აპრილში გაიმართება.

სპარტაკ ქობულია.

ვლადისლავ ლისტიევის მკვლელობასთან დაკავშირებული ერთი ვერსია

მოსკოვის შინაგან საქმეთა საქალაქო სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ნიკოლოზ კულიკოვმა დაადასტურა ფაქტი, რომ 7 მარტს დააკავეს ნოვოკუზნეცკიდან ჩამოსულ დაქირავებულ მკვლელთა ბანდა მოსკოვის ოლქის სანატორიუმ „პუშკინოში". გამორიცხული არ არის, რომ სამ ბოროტმოქმედს, რომლებიც დასპეციალებული არიან მოსკოველ ნავთობის მაგნატთა „ხოცვაზე", ჰქონდა უშუალო დამოკიდებულება ცნობილი ჟურნალისტის ვლადისლავ ლისტიევის მკვლელობასთან. ამჟამად ეს ვერსია მუშავდება.

განაჩენი აღსრულებულია

უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურის ცნობით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — დახვრეტა მიუსაჯა ზაზა ცანავას, რომელმაც უმიზეზოდ, ხულიგნური ქვენაგრძნობით მოკლა მოქალაქე ა. ტყაბლაძე.

განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

ნაღმები ტყეში

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, სენაკის რაიონის სოფელ ხორშში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, ტყეში აღმოაჩინეს 8 ყუთი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი.

სძალავდნენ ფულს

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციის, რეკეტისა და ეკონომიკური დივერსიის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების თანამშრომლებმა რუსთავში, საკოლმეურნეო ბაზარში განახორციელეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები. დაკავებულია ბაზრის დირექტორის მოადგილე და მასთან გაუფორმებლად მომუშავე კონტროლიორები, რომლებიც მიმდინარე წლის იანვრიდან საკოლმეურნეო ბაზარში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მოვაჭრე მოქალაქეებისაგან ორგანიზებულად ეწეოდნენ ფულის გამოძალვას. კერძოდ, თითოეულ მოქალაქეს ნაცვლად დაწესებული 100 000 კუპონისა ახდევინებდნენ 2000-3000 რუსულ რუბლს. ამ ხნის მანძილზე მათ მიითვისეს 35 000 000 რუსული რუბლი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

ეს არის — გადავარჩინოთ ქართული კულტურაო?!

აუქმებენ... ბიბლიოთეკებს!

თელავის ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკა ერთ-ერთი უძველესია რესპუბლიკაში. იგი 1884 წელს არის დაარსებული და მოთავსებულია ქალაქის ცენტრში, საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე. მისი საექსპლოატაციო ფართობი შეადგენს 340 კვადრატულ მეტრს. ბიბლიოთეკა აღნიშნულ შენობაში 1975 წელს გადავიდა და მას შემდეგ არავითარი კაპიტალური შეკეთება არ ჰქონია. უბადრუკად გამოიყურება ბიბლიოთეკის დაზიანებული კედლები, აყრილი იატაკი. წიგნთსაცავებში, რომლებიც სანიტარიული ნორმებით 20 ათასი წიგნისთვისაა გათვლილი, 60 ათასი წიგნია მოთავსებული, სივიწროვის გამო წიგნები თაროებს შორის იატაკიდან ჭერამდე ერთმანეთზე აწყვია და შეუძლებელია მათი გარკვეული ნაწილის როგორც მკითხველამდე მიწვდენა, ფიზიკური დაცვაც, ამას გარდა, ბიბლიოთეკას აქვს მდიდარი პერიოდიკის წიგნთსაცავი, რომელსაც სანიტარიული ნორმების დაუცველობის გამო ფიზიკური განადგურება ელის.

სრულად ვერ აკმაყოფილებს მკითხველთა მოთხოვნილებებს სამკითხველო დარბაზი. რაიონის ხელმძღვანელობის წინაშე ბიბლიოთეკის გაფართოებისა და კაპიტალური შეკეთების საკითხი ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ დადგა. საბოლოოდ გადაწყდა, ბიბლიოთეკა გაფართოებულიყო შენობის პირველი სართულის ხარჯზე, სადაც სავაჭრო საწარმოებია განლაგებული. მაგრამ საქმე კვლავ ჭიანურდება. ამასთან დაკავშირებით ორი წლის წინ განცხადებას ხელი მოაწერა ხუთი ათასამდე მაცხოვრებელმა.

თელავის რაიონში მოსაგვარებელია სასოფლო ბიბლიოთეკების შენობების საკითხიც. ქსელის მოწესრიგებისა და საშტატო ერთეულების შემცირების მიზნით, ამჟამად რაიონში მიმდინარეობს ბიბლიოთეკა — ფილიალების შეერთება-გამსხვილება და ბიბლიოთეკების გაუქმება. შარშან გაუქმებული იქნა ნაფარეულის, აკურის, ვარდისუბნის, ყარაჯალის, კურდღელაურის სასოფლო ბიბლიოთეკები, მათი წიგნადი ფონდები შეუერთეს სოფლებში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფილ ჩვენი სისტემის ბიბლიოთეკებს. ასევე გათვალისწინებულია სოფელ რუისპირის, შალაურისა და კონდოლის სასოფლო ბიბლიოთეკების გამსხვილება, მაგრამ შალაურის და რუისპირის ხელმძღვანელობის მიუხედავად მრავალგზის დაპირებისა, ვერ მოხერხდა დამატებითი ფართის გამოყოფა იმ ბიბლიოთეკებისათვის, რომლის ბაზაზეც შეერთების საკითხია გადასაწყვეტი, რაც შეუძლებელს ხდის შეერთების შემთხვევაში წიგნადი ფონდების დატევის საკითხს. უფრო მეტიც, კონდოლის სასოფლო ბიბლიოთეკის დარბაზი, რომელიც მოთავსებულია კულტურის სახლის შენობაში, საჭიდაო დარბაზის გახსნის მიზნით, თვითნებურად დაიკავა სოფლის რამდენიმე ახალგაზრდამ. ეს ოთახი კი თვეში ერთხელაც არ ილება. ამის შესახებ დახმარება ვთხოვეთ მაშინდელ რაიონის ხელმძღვანელობას, სოფლის გამგებელს, დაგვპირდნენ, რომ უახლოეს დღეებში მოგვარდებოდა, მაგრამ უძლურნი აღმოჩნდნენ. გვითხრა ჩვენთან საუბრისას თელავის ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორმა მაყვალა წიკლაურმა.

უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში რაიონში უკვე მასობრივი გახდა ბიბლიოთეკების გატეხვისა და გაქურდვის შემთხვევები, დღეისათვის უკვე ათი ასეთი შემთხვევაა, რაზეც რაიონის მილიციას არავითარი ღონისძიება არ გაუტარებია.

თელავის რაიონის ბიბლიოთეკებში ისეთი წიგნები იძარცვება, რომელთა დაკარგვასაც მომავალი თაობა არაფრით არ გვაპატიებს.

რეალური დახმარება არ ჩანს.

განათლების, კულტურის, ვაჭრობის ობიექტების დისლოკაციის საკითხი გონიერი ადამიანების პრიზმაში უნდა გამოიკვეთოს, აქედან გამომდინარე ნახევარმილიონიან საბიბლიოთეკო ერთეულს შესაფერისი ბაზა რომ უნდა ჰქონდეს, იგი ამდენ კრიტიკას გამოიწვევდა? ბიბლიოთეკის უნიკალური ფონდი რომ სანიტარული ნორმების დარღვევით ინახება და მას ფიზიკური განადგურების საფრთხე ემუქრება, ეს ქალაქის კულტურული საზოგადოების აღშფოთებას უნდა იწვევდეს.

დროა, ეს მეტად საშური საქმე საბოლოოდ გადაწყდეს.

იზა ჯაჭვაძე.

პრეზენტაცია

ლიბერაბანკი

ასე ჰქვია ბანკს, რომელიც საქართველოს მწერალთა კავშირმა შარშან, თებერვალში დააფუძნა. მისი საქმიანობის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს რესპუბლიკაში ფასიანი ქაღალდების ცივილიზებული ბაზრის ჩამოყალიბებას, რაც უპირველესად ემინენტებისა და მათ აქციონერთა დეპოზიტურ მომსახურებაში გამოიხატება.

— ეს ახლა, როცა ქვეყანაში პრაქტიკულად იქმნება ფასიანი ქაღალდების ბაზარი, — გვითხრა მრეწველთა კავშირისა და „ლიბერაბანკის" პრეზიდენტმა ზესო ჯულელმა, მაგრამ თავდაპირველად ბანკი უფრო სხვა მიზნისთვის გვქონდა ჩაფიქრებული. გვინდოდა მისი საშუალებით მოგვეხდინა სახსრების აკუმულირება, კავშირის წევრებისთვის კრედიტების მიცემა. ისიც სათქმელია, როცა უცხოელმა ინვესტორმა იცის, რომ კომერციული ბანკი გვაქვს, ის იოლად მოდის გარიგებაზე, უფრო სერიოზულად იწყებს ჩვენთან თანამშრომლობას.

დიახ, მიზანი კეთილშობილური გვქონდა, მაგრამ უმძიმესმა კრიზისმა და ინფლაციამ, რომელმაც ქვეყანა მოიცვა, მისი განხორციელების საშუალება არ მოგვცა. ამიტომ ახლა ბანკი ცდილობს ფასიანი ქაღალდების მონოპოლისტი გახდეს. ამასთან დაკავშირებით უკვე რვა ბანკთან გვაქვს გაფორმებული ხელშეკრულება.

— ალბათ ვაუჩერიზაცია ამ პროცესს დააჩქარებს.

— რა თქმა უნდა, ჩვენ სწორედ ამას ველოდებით.

— ბანკებისა და საწარმოების აქციონირებამ, — საუბარში ჩაება ბანკის გამგეობის თავმჯდომარე გულნარა მაღრაძე, — საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეალურად ფუნქციონირების საფუძველი შექმნა. გავრცელდება აქციები, ამუშავდება საფონდო ბირჟები, აქციები გავა მეორად ბაზარზეც. ინვესტორი (მოქალაქე ან ორგანიზაცია, რომელიც აქციებს შეიძენს) ხდება ამ აქციების გამომშვები ორგანიზაციის, ანუ ემიტენტის ქონების თანამფლობელი. მან უნდა მიიღოს იმ მოგების შესაბამისი წილი, რაც ექნება ემიტენტს, ანუ დივიდენდი.

უმეტეს შემთხვევაში აქციები სახელობითია. მათი მფლობელების ვინაობა უნდა შევიდეს ემიტენტის აქციონერთა რეესტრში, სადაც მოხდება ამ აქციათა ყოველი გადაადგილების (ყიდვა, გაყიდვა, ჩუქება, ანდერძი და სხვა) რეგისტრაცია, აგრეთვე თითოეულ აქციაზე გასაცემი დივიდენდის დაანგარიშება.

ყოველივე ეს საკმაოდ შრომატევადი საქმეა, დიდ დროს მოითხოვს. ესეც არ იყოს, მას სჭირდება ახალი ტექნოლოგიური მიდგომა და შესაბამისი პროგრამული კომპიუტერული უზრუნველყოფა.

— და ყოველივე ამას თავს თქვენი ბანკი გაართმევს?

— დიახ, ამას მომსახურება დამოუკიდებელი დეპოზიტარიუმი, რომლის ფუნქციებშიც შევა აქციონერთა და მათი კუთვნილი აქციების აღრიცხვა, აქციონერთა „დეპონანგარიშის" წარმოება, აქციონერებისათვის დივიდენდების განგარიშება და ემიტენტთან შეთანხმებით მათი გაცემა, ემიტენტის ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის აღრიცხვა და სხვა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებასთან ერთად იქ გამოჩნდება დეპოზიტიური სერთიფიკატები, სახაზინო და კომერციული ობლიგაციები, თამასუქები, ბუნებრივია, ეს უფრო მრავალმხრივს გახდის „ინვესტორის პორთფელს", რომლის მართვაც დეპოზიტარიუმის მოუმსახურებლად თითქმის შეუძლებელი იქნება.

— თქვენ ფიქრობთ, რომ დეპოზიტარიუმი თავისი ფუნქციების განხორციელებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შეძლებს?

— რა თქმა უნდა. ამ მიზნით რესპუბლიკაში გაიხსნება რეგიონული „დეპოცენტრები", რომლებიც უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი პროგრამებით და კომპიუტერული ქსელის საშუალებით დაუკავშირდებიან ცენტრალურ დეპოზიტარიუმს. ამის შედეგად აქციათა მოძრაობა (მფლობელის შეცვლა) რეგიონებში დაუყოვნებლივ აისახება ცენტრალურ რეესტრში.

რა თქმა უნდა, ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციები და სამუშაოები არ ამოწურავს დეპოზიტური მომსახურების სფეროს, რომელიც შეიძლება გაფართოვდეს ემიტენტთან და ინვესტორთან კონკრეტული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ასე რომ, დეპოზიტური მომსახურება საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა და მისი თავიდან აცილება ემიტენტს უამრავ საზრუნავს მოუხსნის. ეტყობა, ამიტომაც, დასავლეთის ქვეყნებში (ბოლო დროს რუსეთშიც) ემიტენტების აქციონერთა რეესტრს დამოუკიდებელი დეპოზიტარიუმები წარმართავენ.

ნურც ჩვენ ჩამოვრჩებით „მოდას", ვისარგებლოთ დეპოზიტური მომსახურებით, რომელსაც „ლიბერაბანკი" გვპირდება.

ოთარ ხუციშვილი.

ეტიუდი

გადავრჩებით!..

ბამბის ქულასავით ფაფუკი ღრუბლები დინჯად მიირხეოდნენ უღრანი ტყის თავზე. დღეს ბინდი ეპარებოდა. ტყე იდუმალებას მოეცვა. ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმოდა, მხოლოდ ტყის შუაგულში მდგარი, ჟამთა სვლისაგან მობერებული, მრავალი საუკუნის უტყუარი მოწმე ბერმუხის ფოთოლშრიალი არღვევდა სიჩუმეს...

ასე იწყებოდა ყოველი საღამო. იდგა ამაყად ბერმუხა და დიდხანს ესაუბრებოდა წარსულზე ახალგაზრდა ხეებს.

— აგერ, იმ მინდორზე, ახლა რომ ლურჯად ლივლივებს, ადრე ქართველთა ჯარი იყო დაბანაკებული. მინდვრის საზღვარს შაჰ-აბასის ურიცხვი ჯარი მოადგა. ქართველებს, რომ დაუნახავთ, უთქვამთ — დახეთ, რამდენია, რა ულეველიაო. მაგრამ უკან მაინც არ დაუხევიათ, მედგრად ეკვეთნენ მტერს და გაიმარჯვეს კიდეც.. იმ დღიდან ამ ადგილს ულევალს ეძახიან. აქ ყოველი გოჯი მიწა წინაპართა წმინდა სისხლით არის დამბალი.

ოდითგან აუარებელი მტერი ეხვია საქართველოს ყოველი მხრიდან. აოხრებდნენ, აწიოკებდნენ, აცამტვერებდნენ, ქვას ქვაზე არ ტოვებდნენ, მაგრამ ქართველი მაინც მედგრად უხვდებოდა მომხდურს... ვერ გადააშენეს ქართული ჯიში და გენი, ვერ გაანელეს ქართველი კაცის სამშობლოს სიყვარულით აალებული გული...

... **შუაღამემ** მოატანა. ცამ წარბები შეიკრა და საწვიმრად მოემზადა. მალე, კანტი-კუნტი წვიმის წვეთები კოკისპირულად გადაიქცა და ნიაღვრებად მიედინებოდა სიცხისაგან დამსკდარ მიწაზე. არც ნორჩი ხეები დაინდო გიჟმაჟმა წყალმა, სადაც გაიარა, კვალი დააჩნია. ხეები თითქოს ბერმუხისაკენ იწევდნენ და ხმის კანკალით ეკითხებოდნენ:

— ნეტავი გადავრჩებით?

— გადარჩებით, უთუოდ გადარჩებით. თქვენ ღვთის ბოძებული, ღვთის მიერ კურთხეული მიწის შვილები ხართ!

მარიკა ცხოვრებაშვილი.

მეოთხედ...

საქართველოს ცენტრალურ სამხატვრო სალონში გაიხსნა მხატვარ გია მარკოზაშვილის პერსონალური გამოფენა. ეს მისი ნამუშევრების მეოთხე გამოფენაა. გია მარკოზაშვილი მუშაობს დაზგურ ფერწერაში, დაზგურ გრაფიკასა და დეკორატიულ რელიეფურ ფერწერაში.

ცენტრალურ სამხატვრო სალონში გამოფენილი ნახატები მცირე ნაწილია ნამუშევრებისა, რომლებიც მას წლების განმავლობაში შეუქმნია.

დავით გაბაშვილი



ქართულმა სახვითმა ხელოვნებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს სახალხო მხატვარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **დავით (დუდა) გაბაშვილი.**

დ. გაბაშვილი დაიბადა 1914 წელს. 1933-39 წლებში იგი სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში გრაფიკის სპეციალობაზე იოსებ შარლემანთან. 1944 წელს წარჩინებით დაამთავრა ასპირანტურა და შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას, 1974 წლიდან ხელმძღვანელობდა სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ხატვის კათედრას, სადაც არაერთი თაობა აზიარა ნახატის არაჩვეულებრივ ხელოვნებას.

მრავალმხრივი იყო დ. გაბაშვილის შემოქმედებითი ინტერესების სფერო. მისი ნამუშევრები წიგნის გრაფიკაში, ლითოგრაფიაში, პლაკატის დარგში, ფერწერასა თუ სკულპტურაში, ყოველთვის გამოირჩეოდა მკაცრი და უზადო გემოვნებით, მაღალი მხატვრული კულტურით, ნახატისა და კომპოზიციის დახვეწილობით, თავშეკავებული ფერადოვნებით. იგი ნახატის ნამდვილი დიდოსტა იყო, ბრწყინვალედ გრძნობდა ზის უდიდეს პლასტიკურ შეს ლებლობებს და შესანიშნავად ი ენებდა ტონალური ნიუანსებ საოცარ სიმდიდრეს. მხატვრის მ ერ შექმნილი, სამწუხაროდ, არც თუ ისე მრავალრიცხოვანი ნამუშევრები („ქალის პორტრეტი", „თამარ მეფე", „ქალიშვილის პორტრეტი", „სვანი ბიჭი", შექსპირის „ჰენრიხ VIII"-ს თეატრალური აფიშა, ბოკაჩოს „დეკამერონის" პირველი ტომის გაფორმება, ვ. ბერიძის მეცნიერული ნაშრომების — „ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები", „მესხეთის ხუროთმოძღვრების ძეგლები", „თბილისის არქიტექტურა", დავით კაკაბაძის და სოსო გაბაშვილის სკულპტურული პორტრეტები და მრავალი სხვა) მთელი სიცხადით წარმოაჩენს ბატონ დავითის ინდივიდუალობას, მის ეროვნულობასა და იდეურ-ესთეტიკურ მრწამსს.

დ. გაბაშვილის ცხოვრება და შემოქმედება იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორ უნდა ემსახუროს სამშობლოს თვითმყოფი ხელოვანი-მხატვარი. დ. გაბაშვილმა ჭეშმარიტად ეროვნული ქმნილებებით გაამდიდრა ქართული სახვითი ხელოვნების საგანძური.

„წავიდა ჩვენგან დიდი ხელოვანი, აღმზრდელი, მოქალაქე, ნათელი პიროვნება, რომლის სახელსა და ღვაწლს დავიწყება არ უწერია.

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო; რესპუბლიკის მხატვართა კავშირი; თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.

ხსოვნა

დათო (დუხუნა) კაპანაძე

18 მარტს მეორმოცე დღე მიილევა უშენოდ.. მოულოდნელი იყო შენი გარდაცვალება... იმ ტრაგიკული შემთხვევიდან რამდენიმე დღე ერთმანეთს ებრძოდა სიკვდილი და სიცოცხლე, არცერთს სურდა დათმობა... შენ ხომ გამორჩეული იყავი ვაჟკაცობით, ადამიანობით, სიკეთით. სიკვდილი უფრო ძლიერი გამოდგა. ისე წახვედი ამ ქვეყნიდან, კაცის წყენაც არ გაგვიყოლია. ჩვენ კი დაგვრჩა ნათელი ხსოვნა და უდიდესი გულისტკივილი, რომელიც არასდროს მოგვიშუშდება.

გოგი კაპანაძე.

მეუღლე ლია მიქაძე, შვილები გია, თამუნა, და ხვარამზე ჩიქოვანები, დისწული ლიკა თუმანიშვილი ოჯახით, შვილიშვილები ნინო, ირაკლი, ცოლისძმა სანდრო მიქაძე ოჯახით, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ფელიქს სპირიდონის ძე ჩიქოვანი.

პანაშვიდი 15 მარტს, 16 საათზე. დაკრძალვა 16 მარტს, 14 საათზე, მისამართი: ცოტნე დადიანის (ყოფილი ოქტომბრის) ქუჩა № 84, მე-17 კორპუსი, I სადარბაზო.

თუ მხედველობა გღალატობთ... მიაკითხეთ „ელექსირს"!

ახალგაზრდა ოფთალმოლოგ მაკა გოგიაშვილს უკვე საკმაო ავტორიტეტი აქვს მოპოვებული. იგი რესპუბლიკის სამედიცინო აკადემიის თვალის მიკროქირურგიული ლაბორატორიის მეცნიერ-მუშაკია, 1989 წელს დიდი წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მოსკოვის თვალის მიკროქირურგიის ინსტიტუტში აკადემიკოს ს. ფიოდოროვის უშუალო ხელმძღვანელობით.

ჩვენმა დუხჭირმა ყოფამ, სამწუხაროდ, ავადმყოფის მკურნალობაც გააძნელა. ცხადია, — თვალის მკურნალობაც.

განთქმულია ქართული ოფთალმოლოგიური სკოლა და ჩვენი ოფთალმოლოგებიც ავტორიტეტით სარგებლობენ, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ავადმყოფი, ან მისი ჭირისუფალი, მაინც მოსკოვს და ფიოდოროვის კლინიკაში მკურნალობას არჩევს. ოღონდ ეს „სიამოვნება", მით უმეტეს, დღეს, წარმოუდგენლად ძვირი ღირს.

ვთქვათ, რა მოხდებოდა, რომ საქართველოში, კერძოდ — თბილისში გახსნილიყო ისეთი კაბინეტი, რომელიც ავადმყოფებს აღმოუჩენდა კვალიფიციურ დახმარებას და, მოსკოველი კოლეგების ხელშეწყობით, ძალზე მცირე გადასახადით, გაგზავნიდა მათ ფიოდოროვის კლინიკაში?

ეს იდეა რაკი გაუჩნდა, მაკა გოგიაშვილმა დახმარება მოსკოველ კოლეგებსაც სთხოვა და აი, იდეამ უკვე ხორცი შეისხა — **თბილისში, ვაჩნაძის ქუჩის № 7, ყოფილ ბავშვთა მეცამეტე პოლიკლინიკის შენობაში, გაიხსნა ოფთალმოლოგიური კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია უახლოესი უცხოური აპარატურით.**

— ეს იქნება ფირმა — სახელწოდებით „ელექსირი" — ეუბნება „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტს ქალბატონი მაკა გოგიაშვილი, რომლის მიზანია ავადმყოფისთვის ხელმისაწვდომი გახდეს დიაგნოსტიკა უახლესი აპარატურით და მკურნალობა, თანაც ისეთი მედიკამენტებით, რომლებიც შეესაბამება მაღალპროფესიულ დონეს და, კომერციულ ჯიხურებთან შედარებით, საკმაოდ იაფია, ამასთან ერთად ავადმყოფი ადგილზევე მიიღებს ამ მედიკამენტს და არ დასჭირდება მისი ძებნა.

რა დასამალია და, 40 წლის შემდეგ უკვე თითქმის ყოველ ჩვენგანს გვიჭირს ახლო მანძილზე კითხვა, რაც, თავისთავად, სათვალის საჭიროებას ქმნის, მაგრამ, სამწუხაროდ, უმრავლესობა მარტო სათვალით კმაყოფილდება და ყურადღებას აღარ აქცევს იმას, რომ წელიწადში ერთხელ მაინც საჭიროა თვალის წნევის გაზომვა, რომლის მომატებაც იწვევს ისეთ საშინელ დაავადებას, როგორიცაა გლაუკომა.

ყოველივე ეს იმიტომ დამჭირდა, რათა ავადმყოფებმა იცოდნენ, რომ ჩვენს ფირმაში არის მედიკამენტები, რომლებითაც ვუმკურნალებთ, როგორც გლაუკომას, ასევე თვალის დაავადებებს ჰიპერტონიისა და შაქრიანი დიაბეტის დროს.

გაიხსნა ახალი კაბინეტი

ჩვენს მკითხველებს, ცხადია, დააინტერესებთ, თუ რა შეღავათებით ისარგებლებენ მოსკოვში გასაგზავნი ავადმყოფები.

მოსკოვში ჩაფრენისთანავე ავადმყოფს აეროპორტში დახვდება „ვოლვოს" მარკის ავტობუსი, რომლითაც იგი მივა ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო „დონის" პანსიონატში. სურვილისამებრ დაიკავებს ერთ-ორადგილიან ნომერს ან „ლუქსს", უზრუნველყოფილი იქნება სამჯერადი კარგი კვებით. სამედიცინო ტურის მაქსიმალური ხანგრძლივობა 14 დღეა (დამოკიდებულია დაავადების სირთულეზე). ასევე, სურვილისამებრ, მას შეუძლია ვიდეოფირზე ჩაიწეროს თავისი ოპერაციის მსვლელობა, ისარგებლოს საუნითა და ექსკურსიებით.

ყოველივე ეს, მოსკოველი კოლეგების ხელშეწყობით, ძალზე იაფი დაუჯდება ავადმყოფს, როგორც „ჩინ-ჩინი" გვირჩევს, ჯერ გასინჯეთ, მერე განსჯეთ... მეტი რა გითხრათ, კონკრეტულ რჩევა-დარიგებებს ავადმყოფები ჩვენს ფირმაში მობრძანებისას მიიღებენ. აი, ჩვენი ტელეფონის ნომერიც: 98-59-88.

იმათ კი, ვისაც არ ექნება მოსკოვში წასვლის სახსარი, შეუძლიათ მიაკითხონ ამავე კაბინეტს და ოპერაცია თბილისში გაუკეთდებათ.

ახალი წიგნები

საოცრებათა მოყვარულთ

გამოვიდა გივი ალაზნისპირელის საინტერესო წიგნი სახელწოდებით — „მსოფლიოს დასაბამისეული აღმოჩენა" (დიდი სენსაცია), რომელიც მოგვითხრობს ეზოთერული სამყაროს შესახებ. ეს წიგნი ორენოვანია და ქართულ ტექსტს თან ახლავს ინგლისური სინქრონი. ამ წიგნის შეძენა შეიძლება რუსთაველის გამზირზე განლაგებულ წიგნის მაღაზიებში, საყურადღებოა მისი ღირებულება: წიგნის ფასმა კუპონებში არ უნდა გადააჭარბოს 9000 რუსულ მანეთს. ჯერ-ჯერობით გამოსულია ამ წიგნის 1 ტომი, მაგრამ ავტორის თქმით, წელს, მარტიდან II ტომის მასალები გამოქვეყნდება გაზეთ „ნოე"-ში.

A GREAT DISCOVERY
OF THE WORLD

დსთ, СНГ თუ?..

მოსაზრება

ჩვენს პრესაში სხვადასხვანაირად იწერება თუ იშიფრება აბრევიატურა „СНГ" — Содружество независимых государств, კერძოდ: „დსთ", „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, „ესენგე" და ა. შ. ახლა, როდესაც თითქმის წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ ე. წ. СНГ-ში გავერთიანდით, ალბათ, დროა, მოვუძებნოთ ერთიანი სახელი ამ კონგლომერატს. გავიხსენოთ, როგორ იშიფრებოდა „СНГ"-ს წინამორბედი „СССР"-საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, სსრკ, საბჭოთა კავშირი, საბჭოეთი, და, ბოლოს უბრალოდ — კავშირი. ამიტომ, ხომ არ აჯობებს, „СНГ" ითარგმნებოდეს როგორც „თანამეგობრობა". არა მგონია, ვინმეს ეგონოს, რომ საქმე ეხება ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობას ანდა ბაჰამის კუნძულების თანამეგობრობას. ასე რომ არც „დსთ" და არც „СНГ", უბრალოდ — „თანამეგობრობა", ისევე როგორც — „კავშირი".

არჩილ მანჯგალაძე.

სპორტი

ჩემპიონატი, თასი

განახლდა ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატი — რესპუბლიკის სტადიონებზე გაიმართა მეორე წრის პირველი ტურის მატჩები, ხოლო ეროვნული თასის გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალური შეხვედრები ასე დამთავრდა: „მეტალურგი"-„ქიზიყი" 6:1 (პირველი მატჩი — 6:2), „გურია"-„დინამო" (ზუგდიდი) 2:2 (1:4), „საპოვნელა"-„დინამო" (ბათუმი) 1:1 (1:3). ქვეყნის ჩემპიონატის ლიდერების — „სამტრედიისა" და თბილისის „დინამოს" მეორე რაუნდი 18 მარტისთვისაა დანიშნული დედაქალაქში. მათი პირველი ორთაბრძოლა სამტრედიელებმა შინ 2:0-ზე მოიგეს.

ამ შედეგს არავინ ელოდა

სანკტ-პეტერბურგში მოულოდნელი შედეგით დასრულდა მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი. მაია ჩიბურდანიძემ ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე ყველაზე მძიმე მარცხი განიცადა უნგრელ ჟუჟა პოლგარისაგან — 1,5:5,5 და გამოეთიშა გვირგვინისათვის ბრძოლას. წლეულს შემოდგომაზე პოლგარი ამ ტიტულისათვის გადამწყვეტ ორთაბრძოლაში შეხვდება მსოფლიოს ამჟამინდელ ჩემპიონს — ჩინელ სე ძიუნს.

ქალებიც, კაცებიც...

კალათბურთელ ქალთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე ლიდერების — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ქუთაისის „მეობის" პრინციპული დუელით დასრულდა. ტექნიკოსი სტუდენტები იოლად გაუსწორდნენ მეტოქეს — 88:53 და კვლავ დაუმარცხებლად ლიდერობენ ტურნირს.

ჩვენი ქვეყნის ვაჟთა ეროვნულმა ნაკრებმა გუნდმა ისრაელური ტურნე იქაური მეორე ლიგის კლუბებთან 4 გამარჯვებითა და 1 დამარცხებით დაამთავრა.

13 მარტს ვერის ბაღის მიხეილ კაკელიძის სახელობის დარბაზში დაიწყო მეორე წრე. გაეცანით პირველ შედეგებს: „თორსი"-„გეორგიკა" — 69:58, „დინამო"-„შევარდენი" — 92:69, „აზოტი"-„თსუ — 84:60 და „მერანი"-„იმერეთი" (ქუთაისი) — 77:84.

1992 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციის მეჩვიდმეტე ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი გაიმართა 1995 წლის 15 თებერვალს, ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონში, მოგება ხვდა შემდეგი ნომრებისა და სერიის ობლიგაციებს

№№ სერიის	№№ ობლიგაციის	მოგების ოდენობა კუპონებში	№№ სერიის	№№ ობლიგაციის	მოგების ოდენობა კუპონებში	№№ სერიის	№№ ობლიგაციის	მოგების ოდენობა კუპონებში
00152	026X	100000	06653	017X	100000	13254	1-40	50000
00181	1-40	50000	06710	019X	100000	13393	035X	100000
00436	022X	500000	07441	013X	250000	13834	013X	250000
00455	030X	100000	07798	1-40	75000	14178	1-40	75000
00749	1-40	10000	07905	020X	100000	14706	010X	100000
00941	010X	100000	07990	018X	100000	14866	021X	250000
00987	006X	100000	08070	015X	100000	16681	1-40	50000
01116	1-40	75000	08158	010X	100000	16699	014X	500000
01117	039X	100000	08437	025X	250000	16760	1-40	50000
01186	008X	100000	08783	1-40	50000	17133	030X	100000
01408	001X	500000	08868	040X	100000	17463	020X	100000
01608	013X	100000	08901	017X	250000	17697	1-40	50000
01662	1-40	50000	08905	020X	250000	17809	001X	100000
02486	026X	100000	09368	016X	250000	17907	1-40	50000
02517	031X	500000	09936	1-40	75000	18295	029X	100000
02873	022X	250000	10001	029X	100000	18625	031X	100000
04056	001X	250000	10278	1-40	50000	18735	004X	100000
04127	037X	100000	10282	016X	500000	18757	022X	100000
04188	035X	100000	10333	1-40	50000	19063	1-40	75000
04518	036X	250000	10364	017X	100000	19342	025X	250000
04525	025X	250000	10408	040X	50000	19582	010X	100000
05003	018X	100000	10509	1-40	50000	19768	021X	100000
05014	001X	100000	10658	011X	100000	20252	005X	250000
05038	004X	250000	10683	024X	100000	20318	1-40	75000
05041	008X	100000	11030	031X	100000	20576	023X	100000
05297	1-40	75000	11151	010X	100000	20810	1-40	50000
05321	004X	100000	11167	004X	100000	21080	002X	100000
05345	036X	250000	11395	019X	100000	21885	005X	250000
05375	012X	75000	11687	022X	100000	21939	1-40	75000
05414	037X	100000	11717	031X	100000	22037	1-40	75000
05450	017X	250000	11986	028X	250000	22291	001X	100000
05792	026X	100000	12191	1-40	50000	22562	029X	100000
06302	040X	100000	12217	009X	100000	22899	021X	250000
06348	011X	100000	12280	1-40	10000	23664	011X	250000
06398	015X	100000	12323	027X	100000	24113	023X	100000
06441	008X	1000000	12792	024X	100000	24842	013X	75000
06566	1-40	50000	13106	013X	250000		-	

* ობლიგაციის ამ სერიის ყველა დანარჩენ 39 ნომერს მოგება ხვდა 10000 კუპონი.

ცხრილში მოცემულია მოგებები 5000 კუპონად ღირებულ ობლიგაციებზე.

თუ მოგება ხვდა 10000 კუპონად ღირებული ობლიგაციის ერთ ნომერს, მასზე მოგება გაიცემა ობლიგაციის ნომინალურ ღირებულებასთან ერთად.

მაგალითად, თუ ობლიგაციამ მოიგო 1000000, 500000, 250000, 100000, 75000, 50000, 10000 კუპონი, მასზე შესაბამისად გაიცემა 1010000, 510000, 260000, 110000, 85000, 60000, 20000 კუპონი.

1000 კუპონად ღირებული ობლიგაციის მოგების შემთხვევაში გაიცემა მოგების მეხუთედი ნაწილი.

მაგალითად, თუ ობლიგაციამ მოიგო 1000000, 500000, 250000, 100000, 75000, 50000, 10000 კუპონი — შესაბამისად გაიცემა 200000, 100000, 50000, 20000, 15000, 10000, 2000 კუპონი.

მოგების თანხაში ჩათვლილია მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლის მიხედვითაც შემნახველი ბანკის დაწესებულებები აწარმოებენ მოგებების გაცემას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

კომისიის თავმჯდომარე — ნაძალადევის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე ზ. კილაძე;
კომისიის თავმჯდომარის მოადგილეები — საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ფასიანი ქაღალდების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი გ. გოგიშვილი;
ნაძალადევის რაიონის ფინანსების განყოფილების გამგე პ. ლამაზოშვილი;
პასუხისმგებელი მდივანი — საქართველოს რესპუბლიკის სააქციო კომერციული შემნახველი ბანკის „ახალი ქართული ბანკის", ანაბრების, უნაღდო ანგარიშსწორების და ფასიანი ქაღალდების სამმართველოს წამყვანი ეკონომისტი დ. ჯულუხიძე.

მთავარი რედაქტორი ბურამ გოგიაშვილი.
ინდექსი 60484